

# „მრევლი“ N 109

## შინაარსი

- მიძღვნა* ..... 4-7  
გადაგვაფარე შენი საფარველი, ჩვენო  
მფარველო უბიწო ქალწულო! – წმ. დიმიტრი როსტოველი
- ქრისტიანული სათნოებანი* ..... 8-9  
ჩემო ძვირფასო მეგობარო!  
შენ მეკითხები: „რა არის სიმდაბლე?“ – სქემილუმენი საბა
- სულიერი რჩევები* ..... 10-11  
ყურადღების კანონი ერისკაცთათვის – წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი  
მეუდაბნოე ცხოვრება ერში – წმ. თეოფანე დაყუდებული
- კითხვები სულიერ მოძღვარს* ..... 12-13  
თქვენი შესაძლებლობანი განსაზღვრეთ და შეეცადეთ,  
ერში ასკეტიზში განახორციელოთ – არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)
- საღვთო საიდუმლოებანი* ..... 14-15  
ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ნაბრძანები აქვს,  
ხშირად ეზიაროს – ღირსი ნიკოდიმოს მთაწმინდელი, წმ. მაკარი კორინთელი
- პატერიკი* ..... 16-17  
ღიმონარი ანუ სამოთხე – იოანე მოსხი
- საყმაწვილო საკითხავი* ..... 18-23  
საღვთო ისტორიები – წიგნიდან: „კეთილმსახურების სასწავლებელი“  
ბიბლია ბავშვებისათვის – დეკანოზი ანდრეი (სოკოლოვი)  
მოციქულთა საუკუნის  
ისტორია – დეკანოზი ვიანესლავი (ტულუპოვი)
- ქრისტიანული ოჯახი* ..... 24-27  
**ოჯახური ცხოვრების შესახებ** – ბერი პაისი ათონელი
- სამაგიდო წიგნი* ..... 28-31  
მიწა მიუღწეველი – წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი)

## გადაგვაფარე შენი საფარველი, ჩვენო მფარველო უბიწო ქალწულო!

როდესაც ჩვენი ცოდვების გამრაველებით, იზრდება ჩვენს თავს დატეხილი უბედურებანი – წმ. მოციქული პავლეს სიტყვისამებრ: „გზისა სლვანი მრავალგზის, ჭირნი მდინარეთანი, ჭირნი ავაზაკთაგან, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა ზედა, ჭირნი ზღუათა შინა, ჭირნი ძმათა მტყუართაგან“ (2 კორ. 11.27); „რამეთუ აპლსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფება მეუფებასა ზედა. და იყუნენ სიყმილნი, და სრუანი, და ძრუანი, აღგილად აღგილად“ (მათ. 24.7), როდესაც შეგვაგიწოვებს უცხოტომელთა შემოსევები, შინა ომები და მომაკვდინებელი ჭრილობები წმ. კურთხეული ქალწული მარიამი გამოგვიწვდის თავის საფარველს, რათა გადაგვარჩინოს ჩვენ ყოველგვარი უბედურებისაგან – შიმშილის, ჟამიანობისა და მიწისძვრებისაგან, დაგვიცვას ომებისა და ჭრილობებისაგან, უვნებლად გადაგვარჩინოს თავის საფარველქვეშ. ამის ნიშანი მოგვეცა სატახტო ქალაქ კონსტანტინიპოლში: ღვთისმოსავი მეფის ლეონ ბრძენის (ბიზანტიის იმპერატორი 886-912 წ.წ.) მმართველობისას, ვლადკერნის წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში, მწუხრის ღოცვისას, პირველ ოქტომბერს, დილის ოთხ საათზე მრავალი მორწმუნის თანდასწრებით წმ. ანდრია სალოსმა ცაში აიხედა და დაინახა ზეციური დედოფალი, ამ ქვეყნის მფარველი, წმიდა ქალწული მარიამი, რომელიც ჰაერში იდგა, გაბრწყინებული ღოცულობდა და ხალხს თავის პატიოსან ომოფორს აფარებდა. როგორც თავის დროზე წმიდა იოანე ღვთისმეტყველმა ცაზე იხილა დიდებული ნიშანი, მზით შემოსილი დედა, ასევე წმიდა ანდრეამ ვლადკერნის ეკლესიაში იხილა სძალი უსძლო მზის პორფირით შემოსილი. ეს სასწაული წმიდა იოანე ღვთისმეტყველმა მაშინ იხილა, როდესაც გამოცხადებაში მას ეუწყა, რომ ყოველ ქმნილებას დაღუპვა ემუქრებოდა: „და იქმნა ელეა და ქუხილი, გრგვინვა, მიწისძვრა და სეტყვა დიდი. და გამოჩნდა ცაში სასწაული დიდი: ქალი, რომელსაც ემოსა მზე, და მთვარე იყო მის ფეხქვეშ, და თავს ედგა თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინი“ (გამ. 11.19; 12.1). რატომ არ გამოჩნდა ეს ნიშანი ელეის, ქუხილის, გრგვინვის, მიწისძვრისა და სეტყვის დაწყებამდე – მაშინ, როდესაც ყველა ეს სტიქია ჯერ კიდევ დამშვიდებული იყო და რატომ გამოჩნდა ცასა და დედამიწაზე ატეხილი ყველაზე საშინელი ძრწოლისას? რათა ჩვენ დაგვენახა, რომ კურთხეული დამცველი ჩვენი ისწრაფის ჩვენს დასახმარებლად ყველაზე მძიმე დროს – დაღუპვის ჟამს, და გვიცავს ჩვენ ამქვეყნიური ამაოების მაცთუნებელი, ხანმოკლე ბრწყინვალეებისაგან, ცხოვრებისეული ამპარტავნებისა და პატივმოყვარეობის ვნებისაგან, მტრის უეცარი თავდასხმის ელდისაგან, ვნებათა დეღვისა და ზეციდან წამოსული სეტყვისაგან, რომელიც ჩვენი ცოდვებისათვის სასტიკი სასჯელით გვემუქრება. როდესაც ყველა ეს უბედურება შეგვაჭირვებს, მაშინვე ეცხადება ქრისტიანთა მოდგმას მსწრაფლშემწე, გვიცავს და გვიფარავს უხილავი შუამდგომლობით. „მოეც მოშიშთა შენთა სასწაული განრომად პირისაგან მშვილდისა“ (ფს. 59.5). რადგან ყველა მხრიდან მოფრინავენ ჩვენსკენ ისრები: ზოგი ხილული და ზოგი უხილავი მტრისგან, ზოგი ჩვენი სხეულისაგან, რომელიც სულს ერჩის; ზოგს კი უფლის სამართლიანი რისხვის გამო ვიდებთ. ამის შესახებ წმიდა დავითი ამბობს: „არა თუ მოიქცეთ მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდაუცუამს და განუმზადებიეს იგი“ (ფს. 7.12,13). რათა სასიკვდილოდ არ დავიჭრათ ყველა ამ ისრისაგან და ხიფათს გადავრჩეთ – მოგვეცა ეს სასწაული – ყოვლადწმიდისა და კურთხეული ქალწულის საფარველი. იგი ისრებისგან ფარივით გვიცავს. რადგან მფარველს ჩვენსას ჩვენს დასაცავად ათასობით ფარი აქვს.

დავითმა მაღალ მთაზე მდგარ სიონსა და დაბლა მდებარე იერუსალიმს შორის უმშვენიერესი და უმაღლესი გოდოლი ააგო, რომელსაც სიონის ბჭეს უწოდებდნენ. და იყო ეს გოდოლი, როგორც კისერი თავსა და ტანს შორის, რადგან სიმაღლეში აღემატებოდა იერუსალიმს და წვდებოდა სიონს. გოდოლზე ეკიდა ფარები და იარაღი ომისა და თავდაცვისათვის ყველა საჭირო. სულიწმიდა დავითის ამ გოდოლს უწმინდეს ქალწულს ამსგავსებს, რადგანაც იგი შუამავალია ქრისტეს – ეკლესიის თავისა და მორწმუნეთა – ეკლესიის ტანს შორის. ღვთისმშობელი ახლაც შუამავლად გვევლინება ცასა და დედამიწას შორის, იერუსალიმსა და სიონს შორის არსებული დავითის გოდლის მსგავსად, რომელიც დაფარულია მტკიცე ფარებით. ეს ფარები უფლის მიმართ ღვთისმშობლის ყოვლადძლიერ

ლოცვას ნიშნავს ჩვენთვის. სწორედ ეს ლოცვა გაიგონეს ღირსეულებმა ღვთისმშობლის პატროსანი საფარველის გამოცხადებისას. იგი ლოცულობდა ღმობიერად, როგორც დედა თავისი ძისა და შემოქმედისადმი და წარმოთქვამდა ღვთაებრივი მოწყალებითა და სიყვარულით აღსავსე სიტყვებს: „მეუფეო ზეცათაო, მიიღე ყოველი ადამიანი, რომელიც აღიდებს და მოუხმობს შენს წმიდა სახელს, აკურთხე ის ადგილი, სადაც ახსოვთ სახელი ჩემი, აღიღე შენი სახელის მადიდებელი და ჩემი, დედაშენის, თაყვანისმცემლები, მიიღე მათგან ყოველი ლოცვა და ღვთაებრივი აღთქმა და დაიფარე ისინი ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურებებისგან.“

განა ფარი არ არის ასეთი ლოცვა? მტკიცე ფარი, რომლის დახმარებითაც ჩვენ შეგვიძლია, ჩავაქროთ ყველა ცეცხლოვანი ისარი (ანუ თავდასხმა ეშმაკის მხრიდან, ეშმაკისა, რომელიც ადამიანის უძველესი და დაუძინებელი მტერია და რომელიც ცდილობს, დაგვწვას მომაკვდინებელი ცეცხლით).

წმიდა ამბროსის აზრით, დავითმა გოდოლი ორი მიზნისათვის ააგო – თავდაცვისა და სილამაზისათვის. გოდოლი ქალაქს იმით იცავდა, რომ მისი სიმაღლიდან ადვილი იყო მოახლოებული მტრის შემჩნევა, ხოლო ქალაქს ამშვენებდა იმით, რომ ყველა ნაგებობაზე უფრო მაღალი იყო. ამ მხრივაც ტყუილად არ ადარებენ გოდოლს ჩვენს მფარველ ღვთისმშობელს, რომელიც ჩვენთვის მტკიცე გოდოლია მტრების წინაშე: იგი ჭეშმარიტად გვიცავს და გვამკობს. გვიცავს, როდესაც შორს ფანტავს ჩვენს ხილულ და უხილავ მტრებს, როდესაც ათავისუფლებს ტყვეებს ბორკილებისაგან და ტანჯულებს – ბოროტი სულებისაგან, როდესაც ნუგეშს სცემს მგლოვიარეთ და ექომაგება შეურაცხყოფილთ, როდესაც მყუდრო სავანეა დევნილთათვის, როდესაც აპურებს გაუმაძღრებს, ანუგეშებს ავადმყოფებს. იგი გვამკობს ჩვენ იმით, რომ თავისი უდიდესი დამსახურებით უფლის წინაშე ფარავს ჩვენი ცხოვრების სამარცხვინო სიშიშველეს უძვირფასესი სამოსით, გვავენებს მადლითა და წყალობით და წარგვადგენს უფლის წინაშე სათნო ადამიანებად. თავისი სამოსლით იგი თითქოს უხილავს ხდის ყოველისმცოდნე უფლის თვალისთვის ჩვენს სამარცხვინო სულიერ სიშიშველეს. უსახო და უდაბური მიწა იყო პირველსახე ცოდვილი სულისა, რომელმაც დაკარგა სულიერი სილამაზე და უფლის მადლი. წყლები კი, რომლებიც ფარავდნენ უსახურ მიწას, სიმბოლოა ღვთისმშობლის მოწყალებისა, რომელიც ზღვასავით ულევია, ყველას ეფინება და ეფარება. როდესაც სული ღვთისა იძვროდა წყლების ზემოთ, იგი იძვროდა წყლისქვეშ დაფარულ მიწაზეც, თითქოს ვერ ამჩნევდა მის უსახურობას. ამის მსგავსად სულიც, რომელსაც გადაფარებული აქვს ღვთისმშობლის მოწყალე საფარველი, თუნდაც არ იყოს შემკული სათნოებებით, მაინც არ დაკარგავს სულიწმიდის მადლს, რადგან საფარველი წმიდა ღვთისმშობლისა დაფარავს მის უსახურობას, როგორც წყალი ფარავდა მიწისას. წმიდა ქალწული გვამკობს ჩვენ, როდესაც ცოდვილებს გვაქცევს მართლებად, უწმინდურებს – წმინდანებად. ამის შესახებ წმიდა ანასტასი სინელი (სინაის მთის იღუმენი, მისი ხსენების დღე – 20 აპრილი) ამბობს: იგი ჯადოქრებს მოციქულებად აქცევს, მეზვერებს – მახარებლებად, მეძაგებს კი – უფრო მეტი პატივის ღირსად, ვიდრე ქალწულებს; როგორც მარიამ მეგვიპტელი, ყოფილი მეძაგი, აქცია მრავალ ქალწულზე უფრო ღირსეულად. ის, ვინც ადრე დაბნელებული და უწმინდური იყო, ახლა მზესავით ბრწყინავს ქრისტეს სამეფოში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით, რომელიც ფარი და სამკაულია ყველასათვის, ვინც მას მიმართავს.

დავითის გოდოლზე ფარების გვერდით სამშობლოს მცველთა ისრებიც ეკიდა. ყოვლადწმინდა ქალწულსაც, ამ გასულიერებულ გოდოლს, აქვს თავისი ისრები, ანუ ლოცვები წმინდანთა, რომლებიც მასთან ერთად ლოცულობენ. ტაძარში გამოცხადებისას ღვთისმშობელი მარტო არ მდგარა ჰაერში, არამედ ანგელოზთა გუნდისა და თეთრად შემოსილი წმინდანების გარემოცვაში იდგა. ყველა ამ წმინდანის ლოცვა ძლიერი ისრებია, რომელთაც ძალუძთ, განდევნონ ჩვენგან ჩვენი მტრის – ეშმაკის ლეგიონები. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა იცის, რომ ამქვეყნად ჩვენი ცხოვრება ომია: მტერი ჩვენ გვებრძვის მთელი თავისი ძალით, მან აგვიმხედრა თავისი ლეგიონები მეფსალმუნის სიტყვებით: „რამეთუ გარემომადგეს მე ძაღლები მრავალ და კრებულმან უკეთურთამან გარემომიცვა მე“ (ფსალმ. 21.16); „აღიღეს ჩემ ზედა პირი მათი, ვითარცა ლომმან მტაცებელმან და მეყირალმან“ (ფსალმ. 21.13). ამიტომაც ზეციურმა დედოფალმა ინება ჩვენი დახმარება და მომართა ჩვენი მტრის წინააღმდეგ მთელი ზეციური ძალები, მოიხმო წინასწარმეტყველნი და მოციქულნი, მოწამენი და უბიწონი, ღირსეულნი, წმინდანები და მათთან ერთად გამოგვეცხადა, რათა დაგვეხმაროს, გარს შემოგვარტყას ძლიერი მებრძოლები და მტერზე გამარჯვება მოგვიტანოს.

იგი მოვიდა ანგელოზებთან ერთად, რადგან სწორედ ის არის იაკობის მიერ წინასწარგანჭვრეტილი ანგელოზებით გარემოცული კიბე (დაბ. 28.12-15). იაკობის კიბის გახსენებისას ზოგიერთი იკითხავს: რატომ არ იყვნენ კიბეზე ანგელოზები უმოდრად, არამედ გაუთავებლად აღიოდნენ და ჩამოდოდნენ მასზე. თუკი გავიაზრებთ, რომ ეს კიბე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, მაშინ ადვილად მივხვდებით, რატომ არ იყვნენ ანგელოზები კიბეზე უმოდრად, რადგან ღვთისმშობელი განუწყვეტლივ მოუხმობს ანგელოზებს, მასთან ერთად დაეხმარონ ადამიანებს: ასვლისას მათ მიაქვთ ღმერთთან ჩვენი ღოცვები, ხოლო ჩამოსვლისას ღმერთისგან მოაქვთ დახმარება და მოწყალება. იმავე კიბეზე ანგელოზებთან ერთად ჩამოიყვანა წმინდანთა დასი, რათა მათთან ერთად ელოცა ჩვენთვის და იმავდროულად მიერთდია ჩვენი ღოცვაც თავისი ძისა და ჩვენი ღმერთისთვის. წმინდანთა შორის, რომლებიც გამოცხადდნენ ტაძარში ღვთისმშობელთან ერთად, იყო ორი რჩეული: წმ. იოანე წინამორბედი (*არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათა უფროს იოანე ნათლისმცემლისა*) (მათ. 11.11) და წმ. იოანე ღვთისმეტყველი (*რომელი უყუარდა იესოს. რომელი იგი მიყრდნა სერობასა მას მკერდსა მისსა*) (იოან. 21.20), რათა მათთან ერთად გამოეთხოვა ღმერთისაგან მოწყალება: „*რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ღოცუა მართლისა შეწევნად*“ (იაკ. 5.16).

და აი, ჩვენ ვზეიმობთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველს და ვიხსენებთ ვლადიკერნის ტაძარში მის დიდებულ გამოცხადებას, რომელიც წმ. ანდრია და წმ. ეპიფანემ იხილეს. ჩვენ ვზეიმობთ და სამადლობელს აღვუვლენთ ჩვენს მფარველს იმ დიდი მოწყალებისთვის, რომელიც მან ქრისტიან მოდგმას გაუწია და დაუცხრომლად ვევედრებით, კვლავაც გაგვიწიოს მოწყალე მფარველობა ჩვენ, მისდამი შემოვედრებულთ. ჩვენთვის, ვინც მუდამ ვარისხებით უფალს, მისი საფარველის გარეშე ცხოვრება გაუსაძლისი იქნებოდა. მრავალგზისი შეცოდებით ჩვენ მრავალ სასჯელს ვიმსახურებთ, მეფსალმუნის სიტყვებით: „*მრავალ გუება არიან ცოდვილთათვის*“ (ფსალმ. 31.10) ჩვენ უკვე დაღუპულები ვიქნებოდით ჩვენი ურჯულოების გამო, რომ არა მოწყალე დედოფლის მეოხება. ესაია წინასწარმეტყველი ურჩევს იუდეველთ: „*დაძიმალე მცირედ, რაბამ ვიდრემდის წარხდეს რისხვა უფლისაი*“ (ეს. 26.20). მაგრამ სად შეიძლება თავის დაფარვა უფლის რისხვისაგან? განსაცდელის ჟამს ჩვენ ვერსად ვნახეთ საფარი, გარდა ღვთისმშობლისა, რომელიც, სულიწმიდის პირით, თავის თავზე ამბობს, რომ ღრუბლის მსგავსად ეფარება მიწას, რადგან, როდესაც ღრუბელი ჩამოწვება, მაშინ მონადირე ვეღარ პოულობს ნადირს და ვეღარ იჭერს მას. ღვთისმშობელი ქალწულიც ღრუბლის მსგავსად გვიფარავს მონადირებისაგან. ჩვენ, ცოდვილები, კი, ოქროპირის სიტყვებით, ჩვენი არაადამიანურობით ვემსგავსებით ცხოველებს: დათვებით ვიყორავთ მუცელს, გულღვარძლიანი ვართ აქლემების მსგავსად, მგლებით ვეწევით მტაცებლობას, გველებით ვიგესლებით, მელიებით ცბიერი ვართ და იქედნესავით ბოროტები. ასეთ ცხოველებს, როგორებიც ჩვენ ვართ, დევნიან სხვადასხვა მონადირეები: თავს გვატყდება უფლის სამართლიანი რისხვა „*უფალი ღმერთი შურისძიებათა განცხადნა*“ (ფსალმ. 93.1); თითოეულ ჩვენგანს შეუძლია თქვას: „*მეწინეს მე უმჯულოებანი ჩემნი და მე ვერ უძლე ხილვად*“ (ფსალმ. 39.12). გვედენის ჩვენ უხილავი მტერიც, გვემუქრება ხილული მტერიც. იგი ამბობს: „*დავედვენები, მივეწევი, გავყოფ ნადავლს: ჯავრს ვიყრი მათზე, მახვილს ვიშიშვლებ და მუსრს გააველებს მათ ჩემი ხელი*“ (გამ. 15.9). მაგრამ ჩვენ გვყავს დამცველი ღრუბელი – ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი. მასზე ვსასობთ, მის საფარქვეშ მივიღტვით, მას მივმართავთ: გადაგვაფარე შენი საფარველი, ჩვენო მფარველო, უბიწო ქალწულო, „*რამეთუ დამფარა მე კარავსა შინა მისსა დღესა შინა ბოროტთა ჩემთასა*“ (ფსალმ. 26.5). მაგრამ ჩვენი ყოველი დღე ბოროტია, როგორც პატრიარქმა იაკობმა თქვა: „*მცირეა, მაგრამ ტანჯვით არის სავსე ჩემი ცხოვრების წლები*“ (დაბ. 47.9) განსაკუთრებით მძიმეა ის დღეები, როდესაც ჩვენ ვხვდებით ბოროტებას ან თავად ჩავდივართ ბოროტებას, „*უკუეთუ სიცრუე ჩუენი, სიმათლესა ღმრთისასა შეეხების, რაიმე ვსთქუათ?*“ (რომ. 3.5). ყოველი ასეთი უბედური დღე საჭიროებს შენს მოწყალე საფარველს, წმიდაო ქალწულო! დაგვიფარე ჩვენი ცხოვრების ყოველ დღეს და განსაკუთრებით იმ საშინელ დღეს, როცა სული ჩვენი ხორცს გაეყრება. გაგვიწიე დახმარება და ცისქვეშეთის ჰაერის მცველთაგან დაგვიფარე, ხოლო საშინელი სამსჯავროს დღეს შენი საფარველის სამალაგებში დაგვიფარე. ამინ!

წიგნიდან: „*წმინდანთა ცხოვრება*“  
თარგმნა ნინო ახალაძემ

# ჩემო ძვირფასო მეგობარო! შენ მეკითხები: „რა არის სიმდაბლე?“

## მოჩვენებითი სიმდაბლე

მოჩვენებითი სიმდაბლე ეს არის ცრუ, ყალბი, ხელოვნური სიმდაბლე. იგი მუდამ ეძებება სიტყვით თავის დამცირებასა და თავმდაბალი სახის მიღებაში.

მოჩვენებითი სიმდაბლით სწეულნი ჩვეულებრივ ამბობენ და ძალიან ხშირად იმეორებენ, რომ ისინი ცოდვილები არიან, და ზოგიერთ თავის ცოდვასაც კი ამხელენ, თითქოსდა საკუთარი ცოდვიანობის შესახებ თავიანთი სიტყვების დასამტკიცებლად, მაგრამ ყურადღებიანი მოსაუბრე, სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი, მაშინვე მიხვდება, რომ მის წინაშე მოჩვენებითი სიმდაბლის მანიით სწეული ადამიანი დგას.

მოჩვენებითი სიმდაბლის მანია ამპარტავნების ერთ-ერთი სახესხვაობაა.

სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელი ადამიანისათვის ძნელია, გაარჩიოს მოჩვენებითი სიმდაბლე ჭეშმარიტი სიმდაბლისგან. ზოგჯერ ამ ვნებით შეპყრობილთა თვალთმაქცობა იმდენად დახვეწილია, რომ მართლაც ძალიან გამოცდილი თვალი და გამოცდაა საჭირო, რომ გაიგო, ვისთან გაქვს საქმე. ზოგჯერ კი მათი თვალთმაქცობა და სიცრუე მაშინვე გამოაშკარავდება, განსაკუთრებით მათ მიერ, ვინც მათ ახლოს და კარგად იცნობს.

აი, მაგალითად, მოჩვენებითი თავმდაბლობით შეპყრობილი ადამიანი მრავალთა თანდასწრებით წუხს საკუთარ არარაობაზე, თავის თავს ცოდვილს, წყეულს და არანორმალურსაც კი უწოდებს... იქ მყოფნი ფიქრობენ: „ღმერთმა დალოცოს! რა თავმდაბალია!“ მაგრამ საკმარისია, დაეთანხმო მას და თქვა: „დიახ, დიახ! შენში ეს არის!“, რომ იგი მაშინვე შეიცვლება და შეიძლება შეგეპასუხოს კიდევ: „შენ ეს საიდან იცი?“ მაგრამ უფრო ხშირად იგი დუმს და თავისი მამხილებლისადმი ბრახს გულში იღებს. ამიერიდან იგი თავის კეთილისმყოფელს მტრად თვლის. აღარ ესალმება, ზურგს აქცევს, უბღვერს, თუ შემთხვევა მიეცა, უარს არ იტყვის შურისძიებაზე.

არის ასეთი ამბავი – როგორ მოისურვა მოჩვენებითი თავმდაბლობით შეპყრობილმა მონაზონმა ჯაჭვების ტარება. სულიერი მამის ღოცვა-კურთხევის გარეშე მან მტკედელს თავისთვის ჯაჭვების გამოტყდვა სთხოვა. მტკედელმა უარი უთხრა, მაგრამ მონაზონი მეორედ მოვიდა. მაშინ მტკედელმა სავანის წინამძღვარს ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო.

– აბა, გამოსცადე იგი, – თქვა წინამძღვარმა, – ღოცაში გაარტყი, თუ გაჩუმდება, შეუსრულე თხოვნა, თუ აღშფოთდება, ამხილე იგი.

მონაზონი თავისი თხოვნით მესამედ მივიდა მტკედელთან. მტკედელმა თავი მოაჩვენა, რომ განურისხდა მას და ღოცაში სილა გააწნა. შეურაცხყოფილმა მონაზონმა მას იმავეთი უპასუხა... მაშინ მტკედელმა უთხრა:

– მაპატიე, ძმაო. წინამძღვარმა ასე მიბრძანა შენი გამოცდა.

მონაზონს შერცხვა და გაშორდა.

ძალიან სასარგებლოა იმათი გამოცდა, ვინც ხშირად იმცირებს თავს. მაშინვე მუდამ ეძებება, ჭეშმარიტია მათი სიმდაბლე თუ ხელოვნური. ამგვარი გამოცდა ხშირად აფხიზლებს სწეულს და იგი თანდათან ჯანმრთელი ხდება.

აი, მაგალითად, ადამიანი თავს იმცირებს და, როგორც ამბობენ, თავის თავს ჯვარს აცვამს ცოდვისთვის. ძალაუნებურად ფიქრობ: „რა სიმდაბლეა! ასეთი უმნიშვნელო ცოდვისთვის საბრალლო ასე იწამებს თავს... აი, სად არის ცხონება! ასეთ ადამიანს არ შეიძლება დიდი ცოდვები ჰქონდეს“.

ხოლო ვინც მას ახლოს იცნობს, შეუძლია უთხრას:

– ასე ძლიერ რატომ წუხარ ამ ცოდვის გამო, თითქოს მასზე დიდი არ გქონდეს. შენ უფრო მეტად ამა და ამის გამო გმართებდა წუხილი.

სხვების თანდასწრებით დიდი დაფარული ცოდვების გამხელა საჭირო არ არის (მათ შესახებ შეგიძლიათ პირისპირ უთხრათ), არამედ უნდა შეახსენოთ მხოლოდ ის ცოდვები, რომელთა შესახებაც მას სხვა დროს თავად უსაუბრია, ან ისეთი ცოდვები, რომლებიც მისი ცხოვრებიდან ყველასათვის ცნობილია. არ უნდა გეშინოდეთ, რომ გაგიფუჭდებათ ურთიერთობები. ეს მხოლოდ დროებითია, ვიდრე იგი გამოჯანმრთელდებოდეს, სამაგიეროდ, შემიძევ თავის მამხილებელს იგი სხვებზე მეტად შეიყვარებს.

მოჩვენებითი სიმდაბლე დაუდევრობის, სიზარმაცისა და ქედმაღლობისგან იშვება. ადამიანს სურს, იყოს თავმდაბალი, საკუთარ თავზე მუშაობა კი ეზარება, აი, ისიც ცრუ სიმდაბლის გზას ადგება, თავს იწონებს და აღიმაღლებს საკუთარ თვალშიც და სხვების წინაშეც.

მოჩვენებითი სიმდაბლის მქონენი ვერ იტანენ მხილებას და მითითებას მათ ნაკლზე. ისინი განაწყენებულნი ჩუმდებიან ან იწყებენ კამათს, თავის მართლებას, გაღიზიანებასა, და გაბრაზებას თავიანთ მამხილებლებზე, შემდეგ კი სრულიად გულგრილი ხდებიან მათდამი.

მოჩვენებითი სიმდაბლე, ადამიანების წინაშე თავის დამცირების სიტყვებით გამოხატული, სხვა არაფერია, თუ არა შენიღბული ქედმაღლობა და ამპარტავნება, ამიტომ ჩვენ თავს, ჩვენ სიტყვებს მკაცრად უნდა ვადევნოთ თვალი.

ზოგიერთი ადამიანი, თავი ღვთისმოსავად რომ წარმოაჩინოს და სხვების მხრიდან ქება დაიმსახუროს, ძალიან ხშირად პირჯვარს იწერს და ხშირად წარმოთქვამს სიტყვას „ღმერთი“.

ერთხელ მესმის, რომ მავანი ამბობს:

– რა კარგი ადამიანია!.. ღრმად მორწმუნე!

– თქვენ როგორ დაადგინეთ? – ვეკითხები მე.

– იგი მუდამ ღმერთთანაა. ყოველ სიტყვაზე ღმერთს ახსენებს!

– აი, ესა და ეს, – მიუუგე მე, – უფრო მორწმუნეა.

– ოჰ, რას ამბობთ, მამაო! იგი იშვიათად იწერს პირჯვარს, ღმერთს კი საერთოდ არ ახსენებს.

აი, ასეთი არასწორი წარმოდგენა აქვთ ადამიანებს ჭეშმარიტ სიმდაბლეზე, ჭეშმარიტ ღვთისმოსაობაზე. გარეგნული და მოჩვენებითი ჭეშმარიტება ჰგონიათ, ხოლო თუ ღვთისმოსავი სხვათა მხერას ემალება, იგი, მათი გაგებით, ცუდი ქრისტიანია.

როგორც უკეთური ადამიანი ავსებს თავის საუბარს საღანძღავი სიტყვებით, ისე ზოგიერთი ქრისტიანი თავის ფუჭ საუბარში ხმარობს წმიდათაწმიდა სიტყვას მოკრძალების, ღვთისმოშიშების გარეშე, ზოგჯერ კი... დაგვიფაროს უფალმა! – ხუმრობით, სიცილითაც კი. თუმცა ითვლებიან ღვთისმოსავებად!.. დიდი ცოდვაა ღვთის სახელი წარმოთქვა ამოდ, ანუ უბრალო საუბრებში, და მით უმეტეს, ხუმრობებში. ეს უნდა მოვინანიოთ.

მოჩვენებითი სიმდაბლე ორი სახისაა. ერთი, როგორც ამბობენ, ბოროტგანზრახულია, როცა ადამიანი არ ფიქრობს თავის ცხონებაზე და ანგარების მიზნით შეგნებულად თვალთმაქცობს და თავს თავმდაბლად აჩვენებს, მეორე კი – გაუცნობიერებელი, როცა ადამიანს არ ესმის საქმის არსი. იგი, თავის მხრივ, ასევე ორ სახედ იყოფა.

პირველ სახეს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც გულწრფელად ეძიებენ ცხონების გზას და სურთ იყონ ჭეშმარიტად თავმდაბალნი, მაგრამ არ იციან სულიერი ცხოვრების კანონი, რომ ცხონება ადამიანის შიგნითაა და რომ საჭიროა დაფარონ თავიანთი ღვაწლი და სათნოებანი, ამიტომაც ისინი მთელ თავიანთ შინაგანს გარეგნულადაც ამჟღავნებენ, არაფერს ფარავენ და ამით საკუთარ თავს აცარიელებენ. ეს ადამიანები სწრაფად აღიქვამენ შენიშვნებს, არ სწყინთ და შედარებით მალე სწორდებიან. მაგრამ თუ ისინი ამ მდგომარეობაში ხანგრძლივად იმყოფებიან, შეიძლება იშვას და განვითარდეს ქედმაღლობა.

ამ შემთხვევაში მოჩვენებითი სიმდაბლისგან იშვება ქედმაღლობა და ამპარტავნება.

მეორე სახეს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით უკვე დასნებოვნებული არიან ქედმაღლობით. მათთვის სიმდაბლე, როგორც უკვე ვთქვი, შირმაა. როგორც ამპარტავანი ადამიანი ამაყობს თავისი სიღამაზით, ტალანტებით, ნიჭებით და სხვ., ისე მოჩვენებითი თავმდაბლობით შეპყრობილი ადამიანი ქედმაღლობს და ტკბება თავისი მოჩვენებითი სიმდაბლით. ესენი ვერ ითვისებენ შენიშვნებს, სწყინთ და ნელა, გაჭირვებით სწორდებიან. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სრულებით არ სწორდებიან, მაგრამ ეს, როგორც გამონაკლისი, ხდება მაშინ, როცა ადამიანი ხიბლშია. ამ შემთხვევაში მოჩვენებითი სიმდაბლე იშვება ამპარტავნებისა და ქედმაღლობისგან.

მოჩვენებითი სიმდაბლე სიტყვებით ანუ, როგორც მას უწოდებენ, მდაბალსიტყვაობით, ცხონების საქმეს სამი მიზეზის გამო ვნებს:

1. შობს და განამტკიცებს ამპარტავნებასა და ქედმაღლობას.

2. სულს აცარიელებს ამოდმეტყველებით.

3. მსმენელი შეპყავს ცდუნებაში, ანუ განკითხვის, შურის, ამოდმეტყველების ცოდვაში.

ღირსი ბარსანუფი დიდი წერს: „თავმდაბალმა თავისი სიმდაბლე სიტყვებით არ უნდა გამოთქვას; სიტყვებით თავმდაბლობა არის ამპარტავნების ნაყოფი და მათი მეშვეობით უწესრიგოდ შობს თავის დედას – ქედმაღლობას“.

წმიდა მღვდელმთავარი ეგნატე (ბრიანჩანინოვი) კი ასე წერს: „უფალმა გვამცნო ყველა სათნოების დაფარულად აღსრულება (მათ. 6, 1-6), მდაბალსიტყვაობა კი არის სიმდაბლის გამომჟღავნება ადამიანთა საჩვენებლად. იგი თვალთმაქცობა და მოტყუებაა, პირველ რიგში – თავისი თავისა და შემდეგ სხვებისა, რადგან საკუთარი სათნოებების დაფარვა შეადგენს სიმდაბლის ერთ-ერთ თვისებას, მდაბალსიტყვაობით კი ეს დაფარვა უგულვებელყოფილია“.

როგორც ხედავ, ჩემო მეგობარო, უმჯობესია, იყო გარეგნობით ამაყი და გულით მდაბალი, ვიდრე გარეგნობით და სიტყვებით ჩანდე თავმდაბალი, გულით კი ქედმაღლობდე... ყველა უნდა ეცადოს, იყოს შეუმჩნეველი, მორიდებული, ჩუმი და საქვეყნოდ არ გამოჰქონდეს თავისი მოჩვენებითი სიმდაბლე.

*სქემილუმენი საბა  
თარგმნა ირაკლი კამკამიძემ  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## **უფალზე ფიქრით დაწყებული დღე,**

### **უფალზე ფიქრითვე დაასრულე!**

#### **ყურადღების კანონი ერისკაცთათვის**

ყურადღების გარეშე ნებისმიერი ღოცვა მკვდარი და უნაყოფოა. მას, ვისაც სულის ცხოვნება სურს, უნდა შეეძლოს ყურადღების მოკრება არა მარტო განმარტოებაში, არამედ ნებისმიერ გარემოებაში. ღვთის შიში ყველა სხვა გრძობაზე უფრო ძლიერი უნდა იყოს; მაშინ შეინარჩუნებ ყურადღებას როგორც კელიაში, ასევე ხმაურიან გარემოცვაში.

კეთილგონიერი ზომიერება კვებაში აგრილებს სისხლს, ხელს უწყობს ყურადღების მოკრებას; ხოლო ზედმეტი კვებით, მრისხანებით, პატივმოყვარეობით, ან რაიმე სხვა მიზეზით გახურებული სისხლი ბადებს სხვადასხვა ზრახვასა და ოცნებას, ანუ – უყურადღებობას (ყურადღების გაფანტვას). მას, ვისაც სურს ყურადღებით ჩაუკვირდეს საკუთარ თავს, წმიდა მამები კვებაში მუდმივად ზომიერ, თანაბარ თავშეკავებას ურჩევენ.

გადვიებისას ფიქრები უფლისაკენ მიმართე, მას შესწირე ჯერ კიდევ ამო შთაბეჭდილებებით დაუტვირთავი გონების ზრახვები. დილის ტუალეტის შემდეგ წაიკითხე დილის ღოცვები. ღოცვის რაოდენობაზე მეტად მის ხარისხზე იზრუნე, ანუ იმაზე, რომ ღოცვა ყურადღებით შესრულდეს და გაანათოს და გამოაცოცხლოს გული. ღოცვითი კანონის შემდეგ ასეთივე ყურადღებით ახალი აღთქმა წაიკითხე, უპირატესად – სახარება. კითხვისას განსაკუთრებული ყურადღება ქრისტეს ყოველ დანაბარებსა და მცნებას მიაქციე, რათა ამის მიხედვით წარმართო შენი ხილული და უხილავი მოღვაწეობა. საკითხავის რაოდენობა განისაზღვრება ადამიანის ძალებისა და გარემოებათა მიხედვით. არ არის საჭირო გონების გადატვირთვა ზომაზე მეტი კითხვით; არც ზომაზე მეტი ღოცვის გამო სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობაა გამართლებული.

ახალდამწყებთ წმიდა მამები ხშირ, მაგრამ მოკლე ღოცვებს ურჩევენ. გამუდმებული ღოცვა კი მხოლოდ სულიერად ზრდასრულ, გაძლიერებულ გონებას შეუძლია. უფალში ზრდასრულ ქრისტიანებს ეხება წმ. პავლე მოციქულის სიტყვები: „*მნებავს უკვლ ღოცვათა მამათაი ყოველსა ადგილსა აღაყრობად წმიდად ხვლთა თუნიერ რისხვსა და გულის ზრახვსა*“ (1 ტიმ. 2,8), ანუ ვნებებისა და ყურადღების გაფანტვის გარეშე. ის, რაც ახასიათებს ზრდასრულ კაცს, არ ახასიათებს ჩვილს.

ღოცვითა და კითხვით გონებაგანათებული ადამიანი ყურადღებით შეასრულებს ყოველდღიურ მოვალეობებს, ისე რომ მის ყოველ საქმესა და სიტყვაში და მთელ მის არსებაში იმეფებს და იმოქმედებს უფლის წმინდა ნება, რომელიც ადამიანებს მიეცა და განემარტა სახარებისეული მცნებებით.

თუ დღის მანძილზე რამდენიმე თავისუფალი წუთი გამოგიჩნდება, ეს დრო ზოგიერთი რჩეული ღოცვის ან წმიდა წერილიდან რჩეული ადგილების ყურადღებით კითხვას დაუთმე;

ამ გზით განიმტკიცე სულიერი ძალები, რომელიც ამოაწოვს წუთისოფლის ზემოქმედებით იფიტება, თუ ეს ოქროს წუთები არ აღმოგაჩნდება, ისე უნდა დაგწოდეს გული, თითქოს განძი დაგეკარგოს. ის, რაც დაიკარგა დღეს, არ უნდა დაკარგო მომდევნო დღესაც, რადგან ჩვენი გული ადვილად ეჩვევა უდებებასა და გულმაგიწობას. ეს კი ბნელ უმეცრებას ბადებს და დამღუპველია სულის ცხოვრების საქმისათვის.

თუ სიტყვით ან საქმით ღვთის მცნებები დაარღვიე, მაშინვე მოინანიე და გულწრფელი სინანულით კვლავ შეუდექი უფლის გზას, რომლისგანაც ღვთის ნების დარღვევით გადაუსვიე. ნუ დაკარგავ უფლის გზას! ცოდვილ ზრახვებს, ოცნებებსა და შეგრძნებებს რწმენითა და თავმდაბლობით სახარებისეული მცნებები დაუპირისპირე.

ვისაც სურს, ყურადღებით ჩაუკვირდეს საკუთარ თავს, მან უარი უნდა თქვას ყოველგვარ მეოცნებობაზე, რაგინდ მიმზიდველად და კეთილსახიერად უნდა ეჩვენებოდეს იგი. ნებისმიერი ოცნება გონების ხეციალია (ყარიბობაა) არარეალურ, მოჩვენებათა სამყაროში, რომელიც ეპირფერება და ატყუებს მას. მეოცნებობის შედეგი უყურადღებობა, გონების გაფანტულობა და ლოცვისას გულქვაობაა; ამ ყველაფერს კი სულიერი აშლილობა მოსდევს.

საღამოს, ძილის წინ (ძილი განვლილი დღის სიცოცხლესთან მიმართებაში სიკვდილია) განიხილე შენი საქციელი დღის განმავლობაში. მათთვის, ვინც ყურადღებიანია, ასეთი განხილვა ძნელი არ იქნება: რადგან საკუთარი თავის მიმართ უყურადღებობა სპობს გულმაგიწობას, რომელიც ასე ახასიათებს გართულ ადამიანს. მაშ ასე: გაისხენე ყველა ცოდვა, რომელიც ამ დღეს ჩაიდინე საქმით, სიტყვით, გულისთქმითა და გრძნობით, მოინანიე ისინი უფლის წინაშე გამოსწორების სურვილითა და იმედით. შემდეგ წაიკითხე ლოცვითი კანონები და უფალზე ფიქრით დაწვებული დღე უფალზე ფიქრითვე დაასრულე.

სად მიდის მძინარე ადამიანის ყველა ზრახვა და გრძნობა? რა იდუმალი მდგომარეობაა ძილი, როდესაც სულიც ცოცხალია და სხეულიც, მაგრამ ერთად არ ცხოვრობენ? ძილი, სიკვდილის მსგავსად, გაუგებარია. ძილის დროს სული საუკუნო განსვენების მსგავსად განისვენებს, იფიწებს ყველაზე სასტიკ უბედურებას და ამქვეყნიურ განსაცდელებს; სხეული კი!... თუკი ძილისგან აღდგება, უსათუოდ მკვდრეთითაც აღდგება.

*წმიდა ევნატე ბრიანჩანინოვი*

## მეუღაბნოე ცხოვრება ერში

არსებობს წუთისოფელთან სხეულით განშორება – ანუ როდესაც ადამიანი მიდის უღაბნოში, მაგრამ შეიძლება წუთისოფელში დარჩენა და ამავე დროს მასთან განშორება – ეს არის წუთისოფელთან ცხოვრების წესით განშორება. პირველი ყველას არ ძალუძს და არც შეეფერება. მეორე კი ყველასთვის სავალდებულოა და ყველამ უნდა აღასრულოს. სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებს წმიდა ანდრია თავის კანონში, როდესაც გვირჩევს უღაბნოში წასვლას სჯულის კანონების დაცვით.

თავი დაანებე საერო ჩვეულებებს და ყოველი შენი მოქმედება, ყოველი შენი ნაბიჯი სახარების წმიდა კანონების მიხედვით აღასრულე და იცხოვრებ ერში (წუთისოფელში), როგორც უღაბნოში; სჯულის კანონებით ცხოვრება კედლად აგეფარება და ვერ დაინახავ წუთისოფელს, თუმცა ის შენს თვალწინ იქნება. შენ შენი კანონებითა და წესებით იცხოვრებ, წუთისოფელი კი თავისით. თეატრის ნაცვლად ეკლესიაში წადი, ცეკვის ნაცვლად მეტანია აღასრულე, როდესაც ერისკაცები გასართობად წავლენ, შენ სახლში დარჩი, ისინი უქმის მეტყველებასა და სიცილს მიეცემიან, შენ კი მღუმარებასა და ღვთის დიდებაში იქნები; ისინი ფუჭი რომანების კითხვას დაუთმობენ დროს, შენ კი ღვთის სიტყვასა და წმიდა მამათა წერილებს იკითხავ; ისინი სხვადასხვა საღამოებზე და შეხვედრებზე ივლიან, შენ კი თანამოაზრეებთან ან სულიერ მამასთან საუბარში იქნები;

ვერც შენ დაგინახავს წუთისოფელი და ვერც შენ დაინახავ მას. ამგვარად გახდები ერში მყოფი მეუღაბნოე.

*წმიდა თეოფანე დაყუდებული  
თარგმნა ნინო ახალაძემ*

## კითხვები სულიერ მოძღვარს

### კითხვებს სულიერი ცხოვრების შესახებ პასუხობს მამა რაფაელი (კარელინი)

– სასულიერო ლიტერატურაში ლაპარაკია სულიერი ცხოვრების სავალალო მდგომარეობაზე, სულიერ მასწავლებელთა უკიდურეს სიმწირეზე არა მხოლოდ ერში, არამედ მონასტრებშიც. ჩვენ, ერისკაცნი, ლიტერატურას ვკითხულობთ; ისიც კი, ერისკაცთათვის განკუთვნილი, მოღვაწეთა ასკეტური ცხოვრების, თავიანთი სულების მიმართ მათი ფხიზელი დამოკიდებულების მაგალითებით არის სავსე. აქვეა ლაპარაკი იმაზე, რომ ერისკაცისთვის სახიფათოა ხელმძღვანელის გარეშე თავისი ცოდვების განხილვა, როდესაც ჩვენი სულის ვნებიან მოძრაობას სიკეთედ მივიჩნევთ, თუკი ვნებებს აქ არ აღმოვფხვრით, იმქვეყნად მათ ცეცხლში დავიწვებით... ვნებებისგან განწმენდა მხოლოდ ასკეტ მოღვაწეებს ხელეწიფებათ, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ?

– ვფიქრობ კითხვა, რომელიც დამისვით, მრავალს აღელვებს. ჩვენი დროის დიადი განმანათლებლები ეგნატე ბრიანჩანინოვი და ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული ხედავდნენ იმ ქრისტიანთა სავალალო მდგომარეობას, რომლებსაც უნდოდათ სულიერად ეცხოვრათ და კიდევ უფრო მძიმე ხანას წინასწარმეტყველებდნენ.

ეგნატე ბრიანჩანინოვის თხზულებანი, განსაკუთრებით მისი მეხუთე ტომი – „ძღვენი თანამედროვე მონაზვნობას“ იმ სულიერი საგანძურის რეკვიემს ჰგავს, რომელიც დაიდუპა და აღარ დაბრუნდება. მას აქვს შესანიშნავი ნაწარმოები პოემა – გლოვა დაცემულ ბერებზე. ეგნატე ბრიანჩანინოვი მისი სახით თავის თანამედროვე და მომავალ მონაზვნობას იგლოვდა. უარეს მდგომარეობაში არიან ერისკაცები. ისინი ჰგვანან ლოთის ოჯახს, სოდომში რომ ცხოვრობდა. რატომ არიან „სტარცები“ ასე ცოტანი ამჟამად? შესაძლოა იმიტომ, რომ მათი ცხოვრების მაგალითით უფრო მეტად არ ვიყვით განკითხულნი იმისათვის, რომ გვქონდა და ვერ დავაფასეთ, გულგრილად ჩავუარეთ იმას, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ჩემს ახალგაზრდობაში მახსოვს დიადი ბერები, რომლებიც ადამიანებს, მათ შორის ბერებს, შორის თავს მარტოდ გრძნობდნენ. ისინი ვერ პოულობდნენ მემკვიდრეებს: მათსა და ახალ თაობას შორის თითქოსდა ღრმა თხრილი იყო გაჩენილი. ერთხელ მამა სერაფიმეს ვკითხე, რაღაც საკითხში როგორ მოვქცეულიყავი. მან მიპასუხა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მისი სიტყვა შემესრულებინა და მეტქვა: „მაკურთხეთ“, ვუთხარი, რომ გამიჩნდა ახალი აზრი, თუ როგორ მოვქცეულიყავი სხვაგვარად. მან შემომხედა და თავი დახარა. მის სახეზე რაღაც განუზომელი წუხილი დავინახე; ის მხოლოდ ჩემი ურჩობით არ იყო გამოწვეული, მომეჩვენა, რომ ამაში მამა სერაფიმემ დაინახა, თუ როგორი დაუმორჩილებელი და ხისტია თანამედროვე მონაზვნის გული, მას არ შეუძლია მიიღოს ბერის პირველივე სიტყვა, ეს კი ნიშნავს, რომ მას არ ძალუძს მადლის შემწეობით მისი ნიჭის გონებით წვდომა.

შემდეგ ვცადე ჩემი შეცდომა, ჩემი უმეცარი ამპარტავნება გამომესწორებინა და მოვიქეცი ისე, როგორც მამა სერაფიმემ მითხრა, თუმცა ვგრძნობდი, რომ ეს ის აღარ იყო, რომ გატეხილს ვაწებებდი, ვხვდებოდი – ჩემს გულს არ სურდა მორჩილება და ის კედელივით უნდა გამენგრია. რაღაც გაელვებაში ჩემს წინ დავინახე ბერი, თავჩახრილი, უღონოდ დაშვებული ხელებით...

ჩვენ მათი უღირსნი აღმოვჩნდით და ღმერთმა წაგვართვა ისინი. მაგრამ რა უნდა ქნათ? – ის, რაც შესაძლებელია. წაიკითხეთ ეგნატე ბრიანჩანინოვისა და თეოფანე დაყუდებულის თხზულებანი, გააკეთეთ ამონაწერები, თქვენი შესაძლებლობანი განსაზღვრეთ და შეეცადეთ ერში ასკეტიზმი განახორციელოთ. მოდით, ამას ზომიერება და კრძალულება დავარქვათ.

თქვენთვის შეადგინეთ ფასეულობათა შკალა – რას აყენებთ უმაღლეს საფეხურზე და რას – უმდაბლესზე, რა უნდა გახდეს მთავარი თქვენს ცხოვრებაში და რა – უსარგებლო, ანუ ის, რისგანაც უნდა გათავისუფლდეთ.

– *ღმერთი ყოვლადძლიერი და ყოვლადმოწყალეა. მაშ ტანჯვით ცხონების გზა რატომ დაუდგინა ადამიანებს? რაკილა მას ყველაფერი ძალუძს, მათი ცხონება ტანჯვის გარეშეც შეუძლო, წარწყმედა იმათთვის მაინც გამოერიცხა, ვისაც უნდა ცხონება. ეს რაღა თავისუფლებაა, თუკი ადამიანს არ უნდა ტანჯვა, მაგრამ უნდა გააკეთოს არჩევანი: აქ, ახლა იტანჯოს, თუ მარადიულად?*

– უფალი ყოვლადძლიერი და ყოვლადმოწყალეა. სწორედ ამიტომაც არჩევს ადამიანისათვის საუკეთესოს და ამის შეცვლა ნაკლებ სრულყოფილით არ შეუძლია. ვინც მსგავს კითხვებს სვამს, ივიწყებს ისეთ უნივერსალურ ფაქტს, როგორიცაა კაცობრიობის მომწვევლელი ცოდვა; ამიტომ, არცთუ იშვიათად, ჩვენი მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის ჟამს იწყება ადამიანის შინაგანი ხრწნა და მარადიულის დავიწყება. მაშინ მას მწუხარება აფხიზლებს და ის არა ბოროტებად, არამედ სიკეთედ, ცხონების საშუალებად გვევლინება.

უფალი ადამიანს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ამყოფებს, თუმცა მის მაგივრად არ აკეთებს არჩევანს. ამიტომ ადამიანს შეუძლია მიიღოს ან უარყოს ის, რასაც უფალი აძლევს. თქვენ კი ნებას სურვილთან ურევთ და თვლით, თუკი სურვილი შეუსრულებელია – ეს იმას ნიშნავს, რომ ნება არ არსებობს.

ეცადეთ, ებრძოლოთ თქვენს ვნებებს, თავი შეიკავოთ ცოდვებისაგან, შინაგან ღოცვაში ივარჯიშოთ და თქვენს თავს ნამდვილად არ აღმოაჩინოთ ისეთს, როგორიც ადრე წარმოგედგინათ, დაინახათ, რომ ცოდვის სისაძაგლე ყველანაირ გარეგნულ თუ შინაგან მწუხარებაზე საშინელია. ასეთ კითხვებს ჩვეულებრივ ის ადამიანები სვამენ, რომლებიც რელიგიაში არა ცხონებას და ღმერთთან ურთიერთობას, არამედ დამატებით დაზღვევასა და მიწიერი კეთილდღეობის გარანტიებს ეძებენ. ეს არის ჰუმანიზმის სული, რომელსაც არ შეუძლია ჯვრის საიდუმლოს გაგება და მასთან შერიგება. მას ნაჩუქარი აღდგომა უნდა, მაგრამ ჯვარცმის გარეშე, მისთვის გოლგოთა არა ცხონების ცენტრი, არამედ საზარელი სურათია.

ჰუმანისტს რომ მისცემოდა ასწლიანი, ყველა სიამოვნებით აღსავსე ცხოვრება დედამიწაზე, ღვთის მადლიერი მაინც არ იქნებოდა და იტყოდა: „თუკი ღმერთი ყოვლადძლიერია, რატომ უნდა მოგკვდე!“ და ვერ მიხვდებოდა, რომ ქრისტიანობაში სიკვდილი – ეს ჭკმშია ცხოვრებაში დაბადებაა. პავლე მოციქული წერდა, რომ წარმართული გონებისთვის ქრისტეს სწავლება, განსაკუთრებით ჯვარი ქრისტესი, წარმოდგება, როგორც „შეშლილობა“, მაგრამ ამ „შეშლილობაში“ სამყაროს უმაღლესი სიბრძნეა. ტანჯვაშიც და სიკვდილშიც ჩანასახია საუკუნო ცხოვრებისა.

*მასალა მოამზადა ნინო გულიაშვილმა*

## ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ნაბრძანები აქვს, ხშირად ეზიაროს

### შესიტყვება 12

*ზოგიერთები ბრკოლდებიან იმის გამო, რომ მრავალი შევონების მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებენ ჩვენს დარწმუნებას (დარწმუნებას, კერძოდ, იმაში, რომ განუწყვეტელი ზიარება აკრძალულია). თავიანთი მოსაზრების დასაცავად მათ მოჰყავთ სამი საბუთი. პირველი: ამბობენ, რომ კანონები და მცნებები მღვდელმთავართა განკარგულებაში შედის; მეორე: რომ ჩვენ არ უნდა გამოწმებდეთ იმას, რასაც მღვდელმთავრები, მოძღვრები და მასწავლებლები გვეუბნებიან, და მესამე: მოჰყავთ მოციქულის გამონათქვამი: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩლით მათ“. (ებრ. 13, 17).*

არეულობა და შფოთი რომ არ გამოვიწვიოთ და ჩივილის საბაბიც რომ არავის მივცეთ, ამ შენიშვნებთან დაკავშირებით ჩვენსას არაფერს ვიტყვით. მაგრამ სრულიად დადუმებაც სულისათვის საზიანოდ მიგვაჩნია. ამიტომაც, მოდით ვნახოთ, რას ამბობენ ამის შესახებ წმიდა მამები.

პირველ შენიშვნას დიდი ბასილი უპასუხებს: „თუკი თვით უფალი, „რომელი მამამან სათნო-იყო“ (მათ. 3,17), „რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი“ (კოლას. 2,3), რომელმაც ყოველი ხელმწიფება და მსჯავრი მამისგან მიიღო, – თუკი თვითონ იგი ამბობს: „მან მომცა მე მცნებად, რად ვთქუა და რასა ვიტყვოდი“; და კიდევ: „რომელსა ვიტყვი მე, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვიტყვი“ (იოანე 12, 49-50); და თუკი სული წმიდა „არა იტყოდეს თავით თვსით, არამედ, რაოდენი რა ესმის (მისგან), იტყოდეს“ (იოანე 16, 13), მაშინ რამდენად მეტად გემართებს ჩვენ და რამდენად უფრო უსაფრთხოა ჩვენთვის ამგვარი ფიქრი და ამგვარი ქცევა!“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ უნდა უგულვებლევყოთ ღვთაებრივი კანონები, არამედ მორჩილად უნდა მივსდეთ მათ.

იოანე ოქროპირი კი თვით მღვდელმთავრის ხელდასხმის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ იგი, მღვდელმთავარი, ღვთაებრივ კანონებსა და მცნებებსაა დაქვემდებარებული. „რაკი მღვდელმთავარი (ძველი აღთქმის პირველმღვდელმთავარი) ხალხის თავი იყო, – ამბობს წმინდანი, – აუცილებელი იყო, რომ ხალხის თავს საკუთარ თავზე იმ ძალაუფლების ნიშანი ჰქონოდა, რომელსაც ის ექვემდებარებოდა; ვინაიდან თუკი ძალაუფლება არაფრითაა შემოზღუდული, იგი აუტანელი ხდება, ხოლო როდესაც მასზე სხვა ძალაუფლების სიმბოლოს შევნიშნავთ, ეს იმას მოასწავებს, რომ იგი კანონსაა დაქვემდებარებული. ამიტომაც, კანონის მიხედვით, მღვდელმთავარმა თავი კი არ უნდა გაიშიშვლოს, არამედ დაფარული უნდა ჰქონდეს, რათა ხალხის თავმა უწყოდეს, რომ თვითონ მასაც ჰყავს თავი. ამის გამო მღვდელს (აქ წმინდანს, როდესაც ზოგადად მღვდლობაზე საუბრობს, მხედველობაში ჰყავს მღვდელმთავრები, რამეთუ ღვთივმონიჭებულ სიმბოლოებს, დიონისე არეოპაგელის სწავლებით, მხოლოდ მღვდელმთავრები ატარებდნენ თავზე) ხელდასხმის დროს თავზე ადგამენ ქრისტეს სახარებას, რათა მან ცნებას, რომ ენიჭება ჭეშმარიტი სახარებისეული ტიარა, და რომ, თუმცა იგი ყველას თავია, თვითონაც ამ სახარების კანონებს უნდა დამორჩილდეს; ყველა საკუთარი ძალაუფლების ქვეშ უნდა ჰყავდეს, მაგრამ თვით ისიც ამ კანონების ძალაუფლების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს; ყველასთვის კანონმდებელი უნდა იყოს, მაგრამ თვითონაც უნდა ჰყავდეს თავისი კანონმდებელი – სახარებისეული კანონები.

ამიტომაც მღვდლობასა და მოწამეობაში გაბრწყინებულმა ერთმა ძველმა სახელოვანმა კაცმა (ეგნატე სახელი მისი) ერთ-ერთი მღვდელმთავრისადმი მიწერილ ეპისტოლეში თქვა: „თვინიერ ბრძენებისა შენისა ნუმცა რაი იქმნების, და ნუცა რას შენ იქმ თვინიერ ღმრთისა ნებისა“. სახარება მღვდელმთავრის თავზე – ეს იმის ნიშანია, რომ იგი, მღვდელმთავარი, სახარების ძალაუფლების ქვეშ იმყოფება“.

რაც შეეხება მეორე შენიშვნას, – რომ ჩვენ არ უნდა ვამოწმებდეთ მღვდელმთავრებს, მოძღვრებსა და მასწავლებლებს, არამედ უბრალოდ, გულუბრყვილოდ უნდა ვუჯერებდეთ მათ, – ამაზე ბასილი დიდი შემდეგნაირად უპასუხებს: „ვისაც სიტყვაში პირველობა ეკუთვნის (მღვდელმთავარი იქნება ეს თუ მასწავლებელი), ყოველთვის დიდი სიფრთხილით და დაფიქრებით უნდა იქცეოდეს და ლაპარაკობდეს, მხოლოდ და მხოლოდ ღმრთის წინაშე სათნო-ყოფის მიზნით, რამეთუ ის მათი მხრიდანაც უნდა გამოიცადოს და სარწმუნოდ იქნეს აღიარებული, ვინც მის ხელმძღვანელობას არის მინდობილი“.

კიდევ: „თუ მსმენელთა შორის ვინმე საღმრთო წერილში განსწავლულია, უნდა შეამოწმოს ის, რასაც მოძღვრები ეუბნებიან; და რაც ეთანხმება წერილს, მიიღოს, ხოლო რაც მისთვის უცხოა, უარყოს. იმ მოძღვრებს კი, რომლებიც დაჟინებით იცავენ ასეთ მცდარ სწავლებას, სრულიად უნდა განვეშოროთ“.

კიდევ: „ვინც წერილში ღრმად განსწავლული არაა, მან წმინდა ადამიანები სულიწმიდის ნაყოფით უნდა შეიცნოს. ვისაც ეს ნაყოფი აქვს, უნდა შეიწყნაროს, ხოლო ვისაც ამის ნაცვლად რაღაც უცხო აქვს, ასეთს ზურგი უნდა აქციოს“.

კიდევ: „სანამ კარგად არ გამოვცდიდეთ, არ უნდა მოვიხიბლოთ იმ ადამიანებით, რომლებიც საკუთარ თავს ჭეშმარიტების მქადაგებლად აცხადებენ, არამედ წმინდა წერილზე დაყრდნობით უნდა შევიცნოთ თითოეული მათგანი (რომ მივხვდეთ, ჭეშმარიტებას ქადაგებს ის თუ სიცრუეს).

და კიდევ: „აუცილებელია, რომ თითოეული სიტყვა და საქმე ღვთივსულიერი წერილის ფონზე განვიხილოთ; რაც კეთილია, ის ვცნოთ, ხოლო რაც ბოროტია – განვაგლოთ“.

შესიტყვების მესამე ნაწილს ღვთაებრივი ოქროპირი უპასუხებს: „ანარქია უდიდეს ბოროტებას წარმოადგენს. იგია ძირი მრავალი უბედურებისა და მიზეზი ყოველგვარი უწყესრიგობისა და შფოთვისა. არანაკლები ბოროტებაა უფროსებისადმი დაუმორჩილებლობაც.

მაგრამ შესაძლოა, ვინმემ გვითხრას, რომ არსებობს კიდევ მესამე ბოროტება – როცა თვით უფროსი, წინამძღვარია ბოროტი. ეს მეც ვიცი. და ეს პატარა ბოროტება როდია, არამედ ანარქიაზე ბევრად უარესი, რამეთუ ჯობს საერთოდ არ გყავდეს წინამძღვარი, ვიდრე ბოროტ წინამძღვარს ემორჩილებოდე. პირველ შემთხვევაში ადამიანი ხან ცხოვნების გზას ადგას, ხან კიდევ საფრთხის წიანზე დგება; მეორე შემთხვევაში კი მუდმივად საფრთხის წინაშეა, ვინაიდან მას უფსკრულისკენ მიაქანებენ.

მაგრამ პავლე რატომღა ამბობს: „*დაემორჩილებით წინამძღუართა თქვენთა და ერხდით მათ?*“ ჯერ თქვა: „*ახედვლით გამოსლუასა მას ცხოვრებისა მათისასა და პბაძევლით სარწმუნოებასა მათსა*“ (ებრ. 13, 7); მერე კი თქვა: „*დაემორჩილებით წინამძღუართა თქვენთა და ერხდით მათ?*“ (ებრ. 13, 7) (ანუ: თავდაპირველად პავლემ დაგვიმტკიცა, რომ ეს წინამძღვრები ყოველმხრივ სარწმუნონი არიან და მერე თქვა: მათი სათნო ცხოვრებისა და სწავლების კეთილ ნაყოფს რომ დაინახავთ, „*პბაძევლით სარწმუნოებასა მათსა*“.

კი მაგრამ, – მეტყვით თქვენ, – თუ წინამძღვარი ბოროტია, არ უნდა დავემორჩილოთ ასეთ წინამძღვარს? გააჩნია, რა აზრით ხმარობ სიტყვა „ბოროტს“. თუ ეს სარწმუნოებას ეხება, მიატოვე ასეთი ადამიანი და გაიქციე, – და არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ზეციდან მოვლენილი ანგელოზიც კი; ხოლო თუ ცხოვრების წესს ეხება, მაშინ ცნობისმოყვარეობას ნუ გამოიჩენ. მოუსმინე რას ამბობს ქრისტე: „*საყდართა მოსესთა (სჯულის სწავლების კათედრაზე) დასხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი*“. მანამდე ბევრი შესაძრწუნებელი რამ თქვა მათზე, შემდეგ კი ეს თქვა: „*საყდართა მოსესთა დაჰსხდენ... ყოველსა უკუშ, რაოდენსა გეტყოდენ თქუშნ დამარხუად, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმნთ*“ (მათ. 23, 2-3). ანუ: ამ ადამიანებს ყველანი პატივს მიაგებენ (მათ მიცემული აქვთ სწავლების უფლება), მაგრამ ისინი არაწმინდად ცხოვრობენ. ამიტომაც თქვენ მათს ცხოვრებას კი ნუ მიბაძავთ, არამედ მათი სიტყვები ისმინეთ.

ისინი ხომ თავიანთი ზნე-ჩვეულებებით ზიანს ვერავის მიაყენებენ. რატომ? იმიტომ, რომ თვითონ მასწავლებელი, რაგინდ ბოროტიც არ უნდა იყოს იგი, მაინც არ შეეცდება, სხვას ბოროტი ზნე-ჩვეულებები ასწავლოს. რაც შეეხება სარწმუნოებას, აქ ბოროტება ყველასთვის თვალშისაცემი ვერ იქნება, და თვითონ მასწავლებელიც უარს არასოდეს იტყვის, ბოროტი სარწმუნოება სხვებსაც გადასცეს. ამიტომაც ეს სიტყვები: „*ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ*“ – ეხება არა სარწმუნოებას, არამედ ცხოვრების წესს.

და პავლემაც, სწორედ ამიტომ, ჯერ ჭეშმარიტი მწყემსმთავრის სახე დაგვიხატა, შემდეგ კი თქვა: „*დაემორჩილებით წინამძღუართა თქვენთა*“:

და კვლავ ამბობს წმინდანი: „*შენ მეტყვი: ესა და ეს ადამიანი ძალიან მშვიდია, აქვს სამღვდელო ხარისხი, გამოირჩევა საოცარი კეთილგონიერებით, მაგრამ აკეთებს ამას და ამას. ნუ მეტყვი, რომ ის მშვიდია, გონიერია, რომ კეთილკრძალულია, რომ მღვდელია. გინდაც პეტრე იყოს, ან პავლე, ან თუნდაც, ანგელოზიც რომ იყოს, ზეციდან მოვლენილი, – ასეთ შემთხვევაშიც კი მის პიროვნულ ღირსებას არავითარ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. მე ხომ მეფის კანონს ვკითხულობ და არა მონისას. ხოლო სადაც მეფის სიტყვა იკითხება, იქ მონის ღირსებაზე უკვე აღარ შეიძლება იყოს ლაპარაკი.*

რატომ მოგვყავს სხვების მაგალითები – ხან ერთის, ხან მეორის? ღმერთი შენივე მსგავსი მონების უღებების გამო კი არ დაგსჯის, არამედ იმის გამო, რომ მისი კანონები არ შეასრულე. მე გიბრძანე, – გეტყვის (საშინელი განკითხვის დღეს), – და უნდა შეგესრულებინა, სხვების მაგალითები კი არ უნდა მოგეყვანა, ან გამოგეძია მათი ბოროტი საქმეები.

დიდმა დავითმაც ხომ საშინელი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ მითხარი, ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვისაც ნებადართულია ახლა ცოდვის ჩადენა? ამიტომაც უნდა გაგუფროხილდეთ და მხოლოდ დვაწლს მივბაძოთ წმიდანებისას, უღებებასა და კანონის დარღვევას კი (რაც, როგორც ადამიანებს, მათაც შეიძლებოდა ხანდახან მოსვლოდათ) მთელი გულმოდგინებით უნდა გავექცეთ, რამეთუ ჩვენ განგვსჯიან არა ჩვენივე მსგავსი მონები, არამედ თვით მეუფე, – მას უნდა გავცეთ პასუხი ყველაფრისთვის, რაც გავვიკეთებია“.

აი, როგორ მსჯელობენ ამ საკითხზე წმიდა მამები. ჩვენ კი, ძმანო, რაკი ღმერთი მშვიდობისკენ მოგვიწოდებს, უნდა დავემორჩილოთ მღვდელმთავრებს, მოძღვრებსა და მასწავლებლებს – იმ ხარისხის გამო, რომელიც მათ ღმერთისგან აქვთ ბოძებული. ხოლო თუკი რომელიმე მათგანი რაიმე უგუნურების კეთებას დაიწყებს, ან ხელს შეგვიშლის ღმერთისთვის სათნო საქმის აღსრულებაში, დაე, ვვედროთ მას, და ნუ შეგწყვეტთ თხოვნასა და მუდარას, ვიდრე არ დავრწმუნდებით იმაში, რომ ღმერთის ნება აუცილებლად უნდა აღსრულდეს; რათა სუფევდეს ჩვენ შორის მშვიდობა და მეუფებდეს თანხმობა და

ერთსულოვნება, და რათა მწყემსნი და ცხოვარნი ერთმანეთისადმი სიყვარულით განიმსჭვალონ; რათა სიყვარული მკვიდრობდეს მღვდელმთავარსა და მრევლს, მღვდელსა და ერისკაცს, ხელისუფალსა და ხელქვეითს შორის, და რათა შორს განვაგლოთ ჩვენგან ყოველგვარი დაბრკოლება და შფოთი, განხეთქილება და განყოფა, რამეთუ ეს ყველაფერი ანგრევს ჩვენს სულებსა და სახლებს, ჩვენს ეკლესიებს, საზოგადოებებსა და ერებს. მოკლედ რომ ვთქვათ – რათა ჩვენ ყველანი ერთ სუულად და ერთ სულად ვიქცეთ, ერთი იმედი გვქონდეს, რისთვისაც ვართ კიდევ მოწოდებულნი და ღმერთი მშვიდობისაი სუფევდეს ჩვენ თანა.

*ღირსი ნიკოდიმოს მთაწმინდელი,  
წმ. მღვდელმთავარი მაკარი კორინთელი  
წიგნიდან: „სწავლანი იმის შესახებ, რომ განუწყვეტლად უნდა ვეზიარებოდეთ ქრისტეს  
წმინდა საიდუმლოს“  
ითარგმნა მღვიმევის დელათა მონასტერში  
გავრძელება შემდეგ ნომერში*

## ლიმონარი ანუ სამოთხე

### „შენ სასიკეთოდ მოსულს არ ჰგავხარ“

ერთ დღეს ჩვენ ვეწვიეთ რაითის ლავრის პრესვიტერს – აბბა ევსევოს, რომელმაც გვიამბო, თუ როგორ გამოეცხადა ერთ-ერთ ბერს მონაზვნის სახით ეშმაკი; იგი სენაკის კარზე აკაკუნებდა. ბერმა გაუღო და უბრძანა ლოცვა ეთქვა. ეშმაკმა თქვა:

– აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბერმა სამჯერ უბრძანა ლოცვის თქმა და ეშმაკი სულ იმეორებდა:

– აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

– შენ სასიკეთოდ მოსულს არ ჰგავხარ, – უთხრა ბერმა, – ილოცე და თქვი: „დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ეშმაკი გაქრა.

### სამი გარდაცვლილი განდევილი

ფარანელმა მეთევზეებმა მოგვითხრეს:

„ერთხელ გემით ბუქრაში გადავედით, წითელი ზღვის მეორე ნაპირზე. იქ უამრავი თევზი დავიჭირეთ, გემზე ამოვიზიდეთ და უკან გამოვბრუნდით. პეტლეს რომ მოვუახლოვდით და რაითში გადმოსვლას ვაპირებდით, საპირისპირო ქარი ამოვარდა და ჩვენი მოგზაურობა შეფერხდა. ოთხმოცდაათი დღე ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებდა. ამ ხნის მანძილზე ჩვენ ვრცელ უდაბნოში დავხეტებოდით. იქ, ერთ-ერთი კლდის ქვეშ სამი გარდაცვლილი განდევნილი ვიპოვეთ. ტანზე შიდა კაბები ეცვათ, თავიანთ მოსასხამებზე იწვნენ. ავწიეთ მათი გვამები და გემისკენ წავასვენეთ. როგორც კი გემზე ფეხი შევდგით, ზღვა მაშინვე დაწყნარდა და ქარიც ჩაღვა; ასე რომ, გარდაცვლილი განდევნილების წყალობით, გემი დაეძარით და რაითისკენ გამოვცურეთ. რაითელმა მამებმა განდევნილები ძველი ბერების გვერდით დაკრძალეს.“

### აბბა გრიგორი ბიზანტიელისა და მისი მოწაფის – აბბა გრიგორი ფარანელის გარდაცვალება

რაითელმა მამებმა მოგვითხრეს:

„აბბა გრიგორი ბიზანტიელი და მისი მოწაფე – აბბა გრიგორი ფარანელი წითელი ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე დასახლდნენ. იქ წყალი საერთოდ არ იყო, მაგრამ მათ ჰყავდათ ხომალდი და წყალი კონტინენტიდან მოჰქონდათ. ერთხელ მამებმა ხომალდი ზღვაში ჩაუშვეს და თოკით კლდეზე მიაბეს. ღამე ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, თოკი გაწყდა და ხომალდი დაიღუპა. ამის შემდეგ მამები სრულიად უწყლოდ დარჩნენ. გავიდა რვა თვე. კუნძულზე რაითელი მონაზვნები ჩავიდნენ და ორივე გარდაცვლილი იპოვეს. იქვე დახვდათ წარწერა: „აბბა გრიგორი ფარანელმა ოცდარვა დღე იცოცხლა უწყლოდ და გარდაიცვალა; მე კი ოცდაჩვიდმეტი დღე ვიცოცხლე უწყლოდ...“ ორივეს გვამი უხრწნელი იყო. მონაზვნებმა ისინი რაითში გადმოასვენეს და აქ დაკრძალეს.“

## აბბა ანდრია მესინელი

აბბა ანდრია მესინელმა მოგვითხრო:

„ერთხელ, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკი ვიყავი, ჩემს აბბასთან ერთად რაითიდან პალესტინაში ჩავიდი. იქ ერთმა ბერმა მიგვიღო თავის სენაკში. ამ ბერს მხოლოდ ერთი დრაჰკანი ჰქონდა და ისიც სადღაც დაკარგა. მან ეჭვი ჩემზე აიღო და იქაურ მამებს უთხრა, სტუმარმა ძმამ მონეტა მომპარაო. ამის შესახებ ჩემმა აბბამაც შეიტყო, დამიძახა და მითხრა:

– ანდრია, შენ აიღე ბერის მონეტა?

– შეშინდეს, აბბა, – ვუპასუხე, – არაფერი ამიღია.

მე თან მქონდა მოსასხამი. წავიღე და ერთ დრაჰკანად გავყვიდე. შემდეგ ბერთან მივედი, მუხლი მოვუდრიკე და ვუთხარი:

– შენდობას ვითხოვ შენგან, მამაო, ეშმაკმა შემაცდინა და შენი დრაჰკანი ავიღე.

ბერის საკანში ამ დროს ერთი ერისკაცი იყო სტუმრად.

– წადი, შეილო, მე არაფერი დამიკარგავს, – მიპასუხა ბერმა.

ისევ მოვუდრიკე მუხლი და ვთხოვე:

– ღვთის გულისათვის, აიღე, აბა შენი დრაჰკანი! და მომიხსენე ლოცვებში, რადგან ეშმაკმა ჩამაგონა ეს საქმე, და შენც გული გატკინე.

– დამიჯერე, შეილო, მართლა არაფერი დამიკარგავს, – გამიმეორა ბერმა.

მაგრამ მე მას არ დაეუჯერე. მაშინ სტუმარმა ერისკაცმა მითხრა:

– დაიჯერე, ძმაო, გუშინ აქ რომ მოვედი, ბერი მუხლს იდრეკდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და საშინლად იყო დამწუხრებული. როდესაც ვკითხე, რამ დაგამწუხრა-მეთქი, მან მიპასუხა: „ძმას დავაბრალე დრაჰკანის მოპარვა. ამ დროს კი თურმე მე თვითონ შემინახავს ერთ ადგილზე და იქ ვიპოვე“.

ამგვარად, ბერმა სარგებელი მიიღო ჩემგან, რადგანაც საკუთარ თავზე დავიბრალე ის, რაც არ ჩამიდენია.

## აბბა დანიელი

მეორედ რომ ვეწვიეთ აბბა იოანეს, მან მოგვითხრო ეგვიპტელი ბერის – აბბა დანიელის შესახებ:

„ერთხელ აბბა დანიელი თავისი ხელსაქმის გასაყიდად ტერენოტში ჩავიდა. იქ ერთმა ჭაბუკმა სთხოვა:

– ჩემი ცოლი უშვილოა. ღვთის გულისათვის, წამოდი ჩემს სახლში და ლოცვა წაუკითხე, რომ შვილი ეყოლოს.

ბერი წაჰყვა და ქალს ლოცვა წაუკითხა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი მართლაც დაფეხმძიდა. მაშინ ზოგიერთებმა, ვისაც ღვთის შიში არ ჰქონდა, ასეთი ხმები დაყარეს: „უშვილო ცოლი კი არა, ქმარი იყო. ხოლო ცოლი აბბა დანიელისაგან დაფეხმძიდა“. ამ ხმებმა ბერის ყურამდეც მიაღწია და მან შეუთვალა ჭაბუკს: „ბავშვი რომ გაჩნდება, შემატყობინე“. როდესაც ბავშვი გაჩნდა, ჭაბუკმა ბერს შეატყობინა: „ღვთის წყალობით და შენი ლოცვის მეოხებით ჩემმა ცოლმა შვა“. მაშინ აბბა დანიელი მასთან სახლში მივიდა და უთხრა:

– მოაწყვე ნადიმი და შენი ნათესავები და მეგობრები დაპატიჟე.

ჭაბუკმა ნადიმი მოაწყო. ნადიმის დროს ბერმა ჩვილი ხელში აიყვანა და ყველას გასაგონად ჰკითხა:

– გვითხარი, ვინ არის შენი მამა?

– ის! – უპასუხა ჩვილმა და ჭაბუკისკენ თითი გაიშვირა.

ამ დროს ბავშვი მხოლოდ ოცდაორი დღისა იყო“.

## აბბა იოანე კილიკიელი

აბბა იოანე, რაითის იღუმენი, ასე დამოძღვრავდა ძმებს:

„თუ სოფელს განვეშორეთ, შვილებო, განვეშორეთ ხორციელ გულისთქმებსაც“.

„მიუბამოთ ჩვენს მამებს მკაცრ ღვაწლსა და მღუმარებაში. ნუ შევაგინებთ იმ ადგილს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ეშმაკებისაგან განწმიდეს“.

„ეს მოღვაწეების ადგილია, და არა – ვაჭრების“.

„მე მოვესწარი ისეთ ბერებს, რომლებმაც ამ ადგილზე სამოცდაათი წელიწადი იცხოვრეს და მხოლოდ ბალახეულითა და ფინიკით იკვებებოდნენ“.

„მე კი აქ სამოცდაათექვსმეტი წელიწადი გავატარე და ამ ხნის მანძილზე მრავალი ბოროტება და მზაკვრობა დავითმინე დემონებისგან“.

## ბოროტი სულით შეპყრობილი ძმის განკურნება

ერთი ძმა, რომელიც ბოროტი სულით იყო შეპყრობილი, სვიმეონ მესვეტესთან მივიდა „საკვირველ მთაზე“ და სთხოვა, ღოცვა წაეკითხა მისთვის.

– სად ცხოვრობ? – ჰკითხა ბერმა.

– რაითში.

– მიკვირს, ძმაო, რამხელა დვაწლი გიტვირთავს საკუთარ თავზე, ცოდვილ სვიმეონამდე რომ მოგეღწია: იმ დროს, როდესაც შენს ღაფრაში ასეთი დიდი მამები მოღვაწეობენ. მიდი აბბა ანდრიასთან, მუხლი მოუყარე და სთხოვე, შენთვის ილოცოს. მისი ღოცვა დაუყოვნებლივ განგკურნავს.

რაითში დაბრუნებულმა ძმამ მართლაც მოუყარა მუხლი აბბა ანდრიას და სთხოვა:

– ილოცე ჩემთვის, მამაო!

ამის პასუხად კი ბერმა თქვა:

– აბბა სვიმეონმა კურნების მაღლი მიიღო.

შემდეგ მისთვის ილოცა და ძმა მაშინვე განიკურნა.

## ღიაკონი მინა

აბბა სერგი რაითელმა მოგვითხრო ერთ-ერთი ძმის შესახებ, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა რაითში: იგი ღიაკონი იყო და სახელად მინა ერქვა.

„ერთხელ ეს ძმა ერში წავიდა და ერთხანს იქ მსახურობდა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა, მხოლოდ ის ვიცით, რომ მან გაიხადა სამონაზვნო შესამოსელი და ჩვეულებრივ ერის ადამიანად იქცა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც იგი თეოპოლში მიდიოდა და გზად სელეკიაზე გაიარა, შორიდან აბბა სვიმეონ მესვეტის მონასტერს მოჰკრა თვალი და იფიქრა: „მოდით, შევივლი, შევხედავ წმიდა მამას“. მანამდე არასოდეს ენახა იგი. ავიდა მთაზე და სვეტს მიუახლოვდა. აბბა სვიმეონმა, როგორც კი დაინახა მინა, მაშინვე განჰკვიტა, რომ მის წინ მონაზონი იდგა, ერთ დროს ღიაკონის ხარისხში მყოფი. ბერმა თავის მსახურს დაუძახა და უთხრა:

– მოიტანე მაკრატელი.

მსახურმა მოიტანა.

– კურთხეულ არს ღმერთი! – თქვა ბერმა – აღკვეცე იგი!

და თითოთ პირდაპირ მინაზე მიანიშნა, რადგან სვეტის წინ უამრავი ხალხი იდგა.

შიშისა და გაროცებისან ღიაკონმა ხმა ვეღარ ამოიღო და მორჩილად მიიღო აღკვეცა. მიხვდა, რომ მისი საქმე თვით ღმერთმა გაუმხილა წმიდა მამას.

– თქვი ღიაკონის ღოცვა! – უთხრა მას აბბა სვიმეონმა.

როდესაც მინამ ღიაკონის ღოცვა წარმოთქვა, ბერმა განაგრძო:

– დაბრუნდი რაითში, საიდანაც წამოხვედი!

– მრცხვენია მამების, – უპასუხა ღიაკონმა, – ვერ გავუძლებ მათ მზერას.

– დამიჯერე, შვილო, არაფერი გექნება სასირცხვილო. მამები სიხარულით მიგიღებენ, მათთვის ზეიმი იქნება შენი დაბრუნება. ესეც იცოდე: ღმერთი რაღაც ნიშანს გამოგიჩენს და ამ ნიშნით მიხვდები, რომ მან თავისი მოწყალებით შეგინდო შენი შეცოდება.

მართლაც ასე მოხდა. რაითში დაბრუნებული ღიაკონი მამებმა სიხარულით მიიღეს და საკურთხეველში მსახურების უფლებაც მისცეს. ერთ კვირა დღეს, როდესაც მას ბარძიით იესო ქრისტეს წმიდა და განმაცხოვრებელი სისხლი მოჰქონდა, მოულოდნელად ცალი თვალი ამოუვარდა და ამ ნიშნით მამები მიხვდნენ, რომ ღმერთმა აღხოცა მისი ცოდვა, როგორც ეს მართალმა სვიმეონმა იწინასწარმეტყველა“.

# საყმაწვილო საკითხავი

## წყალობის მიძღვნილი ბერის ხილვა

ერთმა დაყუდებულმა ბერმა ჭაბუკობაშივე უარი თქვა ყველა მიწიერ სიამოვნებაზე, ვიწრო ქოსში ცხოვრობდა, საღვთოდ იღვწოდა და მარხვითა და მღვიძარებით ხორცს თვისას აკვდინებდა.

ერთხელ, მონასტერში ქალაქის თავი მოვიდა, რათა, ჩვეულებისამებრ, ძმობაზე წყალობა მოელო. მან ყველა ძმას ვერცხლი არგუნა, დაყუდებულს კი ოქრო მიუტანა და სენაკის კართან მდგომი ემუდარებოდა, უარი არ ეთქვა ესოდენ უმნიშვნელო ძღვენზე. ბერი ყოველდღიურ საზრდელად ერთ ორცხობილასა და ერთ ჭიქა წყალს იხმევდა. ოქროსა და ვერცხლს კი არავისგან იღებდა, მაგრამ სათნო და კეთილშობილი კაცს თხოვნაზე უარი ვერ უთხრა და ოქრო მიიღო.

ღამით, ღოცვის წაკითხვის შემდეგ ჩათვლიდა. სიზმრისეულ ხილვაში ხედავს, რომ ძმებთან ერთად მინდორში დგას. მინდორი ხშირი და ეკლიანი ძეძვით არის დაფარული. ანგელოზის მსგავსი ვიღაც ჭაბუკი ბერებს მის მოკრეფას აიძულებს. შემდეგ მასთან მოდის და ეუბნება: „ძეძვი მოკრიფე!“ როცა დაყუდებული ბერი უარის თქმას შეეცადა, ჭაბუკმა მრისხანედ შესძახა: „არ გაქვს მიზეზი უქმად დგომისა! რადგან შენ გუშინ ძმებთან ერთად დაქირავდი, თანაც ოქროს საფასურად და ეს მაშინ, როცა სხვებმა ვერცხლი მიიღეს. როგორც უმეტესის მიძღვბმა, სხვებზე მეტი უნდა იშრომო. ეს ეკლიანი ძეძვი იმისი საქმენია, ვინც გუშინ წყალობა გიყო... მწარე ოფლის ღვრამდე იშრომე!“

დაყუდებულს ამ სიტყვებთან ერთად გამოეღვიძა. მან სიზმრად ნანახზე ფიქრი და განსჯა დაიწყო და შეძრწუნდა, რადგან საკუთარ ცოდვათა გაუვალ ეკალ-ბარდებთან ერთად სხვისი ცოდვების ეკალიც უნდა ამოეძირკვა.

*თქვენ კი, ვინც წყალობას დაუბრკოლებლად იღებთ, გულისხმა ჰყავით და ხილვიდან, რომლის ღირსიც უფალმა მართალი მამა გახადა, თქვენი ვალდებულებანი შეიცანით – კეთილისმყოფელთა ცოდვათა მიტევებისათვის ილოცეთ. ხოლო თქვენ, ვინც ღატაკებს საკვებსა და სამოსს აძლევთ, წყალობა გააორმაგეთ, რამეთუ ცოდვანი მოწყალებითა და რწმენით აღიხოცებიან.*

## წმიდა ბასილის მიმტვევებლობა

„– უფლისმიერო მეუფე!“ – წამოიძახა გზადმიმავალი ბასილი დიდის მისამართით ერთმა ღარიბმა ქვრივმა, – დამიცვე მე ბედკრული ქალაქის თავისგან, რადგან შენ მის თვალში დიდი ძალა გაქვს. სვევამწარებულს არ ძალმიძს მისგან წყენა და შევიწროება ავიტანო“ ღვთისათნო ბასილიმ იმავე წუთს მისწერა ქალაქის თავს შემდეგი: „მავანმა უქონელმა ქვრივმა მითხრა, რომ ჩემს თხოვნას შენს წინაშე ძალა აქვს. თუ ეს სიმართლეა, საქმით დაამტკიცე და უბედურზე წყალობა მოიდე...“ ქვრივმა სიხარულით გამოართვა წერილი, წარმოიღვინა, რომ ყველანაირ შევიწროებას თავი უკვე დააღწია და სიხარულით გაემართა ქალაქის თავისკენ. მაგრამ მსაჯულს თხოვნის შესრულება არც უფიქრია და წერილს ასე უპასუხა: „სიამოვნებით შევასრულებდი შენს თხოვნას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია, რადგან კანონის მიხედვით ის ბეგარას ექვემდებარება“.

მწყემსმთავარმა ღარიბ ქვრივს მისცა, რაც შეეძლო და წერილი განმეორებით დაწერა: „თუ გსურდა, მაგრამ არ შეგეძლო, ამით შენი სათნოება ფასს არ დაკარგავს; უკეთუ შეგეძლო, მაგრამ არ ინებე, მაშინ ზეციური მსაჯული ოდესმე მთხოვნელთა რიცხვს მიგაკუთვნებს და მაშინ გენდომება, მაგრამ ვერ შეძლებ...“ ეს წინასწარმეტყველება სულ მალე ახლა.

მეფემ ქალაქის თავის მომხვეჭელობა და სიავე შეიტყო, განრისხდა და მისი დატუსაღება ბრძანა. მაშინ კი მიხვდა უსამართლო მსაჯული, რომ წმიდა ბასილის განაჩენი სიტყვებით თამაში არ იყო, როგორც ეს ადრე ეგონა და ბორკილდადებული ხელით მისწერა მას: „ღვთის კაცო! წმიდაა სიტყვა შენი, მე მწუხარე მთხოვნელთა რიცხვსა ვარ მითვლილი. უბედურისაკენ მოწყალებით მიდრიკე მეფე – ხალხის მამა, სათნოო ღვთისაო! შენ ყოველთვის ძალგიძს, როცა გსურს“.

წმიდა ბასილიმ არ უარყო განწირულის თხოვნა. მეფემ კი წმიდა მამის თხოვნა შეიწყნარა და ქალაქის თავმა თავისუფლება მიიღო. ის დაემხო ბასილი დიდის ფეხებთან, ხოლო შემდგომ იმ ღარიბი ქვრივის დასახმარებლად ისწრაფა, რომლის მოსმენაც ადრე არ სურდა.

*უბედურის ხილვისას საკუთარი თავი ყოველთვის მის ადგილას დააყენე, რამეთუ ამასოფლური ბედნიერება ცვალებადია. ის, ვინც დღეს სახელოვანია, შესაძლოა, ხვალ უკანასკნელი შეიქნეს. აქედან შეიძლება დავასკვნათ: განა მართებულად იქცევიან ამაყი და შეუბრალებელი ადამიანები?*

## დასჯილი მოძულე

კიევი-პეჩორის ლავრაში ორი მონაზონი ცხოვრობდა – მღვდელი ტიტე და დიაკვანი ევაგრი. რამდენიმე წელი ისე მეგობრულად ცხოვრობდნენ, რომ სხვა ძმებს მათი ერთსულოვნება უკვირდათ. მაგრამ ადამიანთა მოღვმის მტერი ყანაში ღვარძლს ოდითგან თესავს. ბოროტმა მათ შორის მტრობა ჩამოაგდო და ბრაზისა და სიძულვილის გარეშე მათ ერთმანეთის შეხედვაც აღარ შეეძლოთ. ღვთისმსახურების დროს, როცა ერთი მათგანი ეკლესიაში საცეცხლურით დადიოდა, მეორე განზე დგებოდა, რათა მისი ხმა არ მოესმინა. ხოლო თუკი ეს უკანასკნელი ადგილზე იდგა, პირველი რაც შეიძლება მეტად სცილდებოდა მას. დიდხანს გრძელდებოდა ეს ურთიერთსიძულვილი და ისინი უსისხლო მსხვერპლს ერთმანეთთან შეურიგებლად კადნიერად სწირავდნენ უფალს.

ძმები ბევრს ემუდარებოდნენ, რათა მათ კვლავ სიყვარულითა და თანხმობით ეცხოვრათ, მაგრამ ამოდ! ერთხელ მღვდელი ტიტე მძიმედ დასნეულდა. სიცოცხლის იმედდაკარგული, თავისი შეცოდების გამო მწარედ ატირდა და თავის უძრავ ძმას მიტევება სთხოვა. ევაგრის ამის გაგონებაც არ სურდა და მომაკვდავ ტიტეს შეჩვენება დაუწყო. ძმები მას მწარე შეცდომის გამო უთანაგრძნობდნენ და მომაკვდავთან იგი ძალით მიიყვანეს. ტიტემ მტერი დაინახა თუ არა, სხვების დახმარებით წამოდგა, მის წინაშე დაემხო და ცრემლით მიტევება შესთხოვა. მაგრამ ევარგი იმდენად არაადამიანური იყო, რომ მისგან პირი იბრუნა და გააფთრებულმა დაიძახა: „არც ამ და არც იმ ცხოვრებაში არ მსურს მასთან შერიგება!“ იგი ძმებს ხელიდან გაუსხლტა და უეცრად მიწაზე დავარდა.

ბერებს მისი წამოყენება უნდოდათ და როგორი იყო მათი გაოგნება, როცა იგი მკვდარი დახვდათ, იგი ისეთი ცივი იყო, თითქოს კარგა ხნის წინ მომკვდარიყო! კიდევ უფრო განცვიფრდნენ, როცა მღვდელი ტიტე, თითქოს არც უავადმყოფიყო, იმ წუთს სარეცლიდან წამოდგა. ამ უჩვეულო მოვლენით დაზაფრულებმა ტიტეს წრე შემოარტყეს და გამოკითხვა დაუწყეს, თუ რას ნიშნავდა ეს ყველაფერი.

„– მე, მძიმე ავადმყოფმა და ცოდვილმა, – თქვა ტიტემ, – ვიხილე ანგელოზები, რომლებიც ჩემი სულის დაღუპვის გამო ტიროდნენ და განმეშორებოდნენ, ხოლო ავი სულები მხიარულობდნენ. აი, მიხეზი იმისა, თუ რატომ მინდოდა ასე ძალიან მასთან შერიგება. მაგრამ როცა ის მოიყვანეთ და მე მას შერიგება ვთხოვე, მან კი შემაჩვენა, დავინახე, ერთმა მრისხანე ანგელოზმა ცეცხლოვანი შუბით როგორ განგმირა იგი და მიწაზე უსულო დასცა. მე კი იმავე ანგელოზმა ხელი გამომიწოდა და სარეცლიდან წამომაყენა“.

ბერებმა ევარგის სასტიკი სიკვდილი დაიტირეს და მას შემდეგ წინანდელზე მეტად შეუდგნენ ღვაწლს, რათა მრისხანებით არც ერთი დღე არ დაეღამებინათ და დღენიდავ მშვიდობით ეცხოვრათ.

*ძვირისხსენება საშინელი სენია და იმდენადვე საძულველი ღვთისათვის, რამდენადაც დამღუპველია საზოგადო ცხოვრებაში. ქრისტიანებო! ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნა. მაგრამ ირწმუნეთ, რომ ძვირისმოხსენეს ეს მსგავსება არ გააჩნია, ის მხეცი უფროა, ვიდრე ადამიანი.*

## განდგომილი ვითაძისის სამართლიანი საზღაური

ბერძენთა მეფის, თეოფილეს მეფობის ჟამს აგრიანელთა მთავარმა, ამირა მუმნიმ, ქრისტიანთა მხედრობა გაანადგურა და დიდსა და მშვენიერ ქალაქს – ამორეას ალყა შემოარტყა. ქალაქს მიუდგომელი კედელი და მრავალრიცხოვანი ძალა იცავდა. ყოველ ღამით

მეომრები კედელზე ცოცდებოდნენ და უამრავ ისმაელიტელს მუსრს ავლებდნენ. ამირა მუმნიმ ერთხანს ისიც კი იფიქრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ალყა მოეხსნა და მტკიცედ გამაგრებული ქალაქისგან უკან დაეხია.

ბერძენთათვის საუბედუროდ მეფის მხედართმთავართა შორის იყო ვინმე ვითაძისი. ამ მტარვალმა, რომელსაც რამდენიმე მეთაურის მიმართ პირადი მტრობა ჰქონდა, მტრისათვის ქალაქის ჩაბარება განიზრახა. მან შესაფერი დრო შეარჩია და აგრიანელებთან, რომლებიც უკვე ბანაკს ყრიდნენ, ისრით შემდეგი შინაარსის წერილი აფრინა: „ასეთი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ წარუმატებელი რატომ მიდიხართ? კედელს იმ მხრიდან შეუტყეთ, რომელ მხარესაც სვეტზე მდგარი მარმარილოს ლომი მოჩანს. ქალაქის ამ ნაწილს მე ვიცავ და გაბრდებით, რომ თქვენი დამხმარე ვიქნები. თქვენ კი იცით, თუ როგორი ჯილდოს ღირსია თქვენი კეთილისმყოფელი და მეგობარი“.

ისარი შენიშნეს და წერილი ამირას მიუტანეს. ამირამ წაიკითხა და მზაკვრის რჩევის შესრულებას შეუდგა.

უკუნ შუალამეს, როცა ამორეანელი მოწინააღმდეგისგან აღარაფერს ელოდნენ, აგრიანელებმა თავიანთი ძალები შეამჭიდროვეს და ერთიანი ძალით მიიტანეს იერიში კედლის იმ ნაწილზე, სადაც ვითაძისი იდგა. ჯარისკაცები და მოქალაქეები წინააღმდეგობას შეეცადნენ, მაგრამ უკეთურმა თანამემამულეების წინააღმდეგ მიმართა იარაღი და მტერიც დაუბრკოლებლად შევიდა ქალაქში. ქრისტიანი მეთაურები ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ვითაძისმა ცრუწინასწარმეტყველის რჯული მიიღო, რისთვისაც ის ამირა მუმნიმ სიმდიდრითა და დიდებულის ხაირისხით დააჯილდოვა.

ბედკრული მხედართმთავრები საშინელ საპყრობილეში შვიდი წელი იტანჯებოდნენ და მთელი ამ ხნის მანძილზე გულმხურვალედ ლოცულობდნენ, რამეთუ მათი გამოსასყიდი სიძულვილით იქნა უარყოფილი. მათი სხეულის დამტყვევებელ აგრიანელებს მათი სულების დატყვევებაც ეწადათ. ისინი ტყვეებთან ბრძენებსა და დიდებულებს აგზავნიდნენ, რათა თავიანთ რჯულზე გადაებირებინათ, მაგრამ – ამაოდ. მათთან ვითაძისიც მიდიოდა. ტყვეებს მისი დანახვაც კი ზარავდათ. ბოლოს ამირა მუმნი განრისხდა და მათთვის სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა.

ორმოცდაორმა მართალმა ქრისტე მაცხოვრის რწმენისათვის სისხლი დაღვარა... მაგრამ რამდენადაც მომთმენია უფალი, იმდენად მართლმსაჯულია. ქრისტიანთა უდრეკობამ და მეფისადმი ერთგულებამ აგრიანელთა მთავარიც გააოცა. ვითაძისს, რომელიც ამ ყველაფერს გულგრილად უყურებდა, მან უეცრად უხმო და მრისხანედ უთხრა: „შენ არ დაიცავი ქრისტეს სჯული და საკუთარ მეფეს არ უერთგულე. ამიტომ დარწმუნებული ვარ, პირველი შესაძლებლობისთანავე მუჰამედის რჯულსაც განუდგები და მიღალატებ, ამიტომ შენს ღალატს წინასწარ აღვკვეთავ“. მან სასჯელის აღმსრულებლებს ნიშანი მისცა და ერთ წამში მოღალატის თავი სხეულს მოსცილდა.

*საშინელია ზეციური მეუფის ღალატი. ასევე საშინელია ღალატი მიწიერი მეფისა. ისევე, როგორც მეფის მოღალატე არ შეიძლება ქრისტიანი იყოს, ასევე არ შეიძლება უფლის რწმენის მოღალატე მოქალაქედ იწოდოს. რადგან მიწიერი მეფის ერთგულება ზეციური მეუფის ერთგულებას ნიშნავს.*

*წიგნიდან: „კეთილმსახურების სასწავლებელი“*

*თარგმნა ნინო გულიაშვილმა*

## **ბიბლია ბავშვებისათვის**

### **სოლომონის სიკვდილი**

### **და ებრაელი ხალხის გაყოფა ორ სამეფოდ**

სოლომონი მიიცვალა და მის შემდეგ დარჩა მისი შვილი რობოამი. ის უნდა გამხდარიყო ისრაელიანთა მეფე. ხალხი შეიკრიბა რობოამთან და სთხოვა მას: „გვიპყირდა და ძნელი იყო ჩვენთვის შენი მამის ხელში, ის გვაიძულებდა, დღე და ღამე გვემრომა, ბევრ ფულს გვართმევდა, შეგვიმსუბუქე ტვირთი და სამუდამოდ შენი მორჩილნი ვიქნებით“.

რობოამი ჯერ მსცოვან, ჭკვიან ხალხს დაეკითხა, რა ვქნაო? მათ უთხრეს: „პატივი ეცი ხალხს, ყური მიუგდე მათ თხოვნას, სამაგიეროდ, შეგიყვარებენ და დაგემორჩილებიან“. ეს რჩევა მეფეს არ მოეწონა, „ხალხი მე უნდა დამემორჩილოს“, ფიქრობდა, „ჩემთვის უხერხულია, მათ დაუთმო“. ახლა თავისნაირ ყმაწვილ მეგობრებს დაეკითხა. მათ უთხრეს: „არ დაუთმო ხალხს, მტკიცედ აიყვანე ხელში, რაც შეიძლება, მკაცრად მოექცე“.

რობოამმა თავის მეგობრებს დაუჯერა და ხალხს გამოუცხადა: „თქვენ გიჭირდათ მამანემის ხელში, ჩემს ხელში კიდევ უფრო გაგიჭირდებათ. ის თქვენ მკაცრად გსჯიდათ, მე კიდევ უფრო მკაცრი ვიქნები“.

რატომ არ დაუჯერა რობოამმა მსცოვან, ჭკვიან ხალხს? რატომ დაუჯერა ახალგაზრდებს; იმის ნაცვლად, რომ მიაღერებოდა ხალხს, რატომ გაანაწყენა?

ხალხი მიხვდა, რომ რობოამი სასტიკი მეფე იქნებოდა, თუ თავიდანვე ასე იქცევა, შემდგომ რაღას იზამსო.

თქვენ ალბათ არ დაგვიწყებიათ იმის შესახებ, რომ ებრაელი ხალხი წარმოშობილი იყო იაკობისგან, რომელსაც თორმეტი შვილი ჰყავდა და ამის მიხედვით თორმეტ ტომად იყოფოდა. და აი, ათმა ტომმა მიატოვა რობოამი, უარი თქვა მის მეფობაზე, ამოირჩია ახალი მეფე იერობოამი. ეს იყო ობოლი და ღარიბი, მაგრამ მეტად ჭკვიანი, მამაცი ადამიანი.

ჯერ კიდევ სოლომონის სიცოცხლეში იერობოამს მინდორში წინასწარმეტყველი შეხვდა და უთხრა: „ღმერთი წაართმევს სოლომონის შვილს ისრაელიანთა ათ ტომს და შენ გაგხდის მათ მეფედ“. მხოლოდ ორი ტომი – იუდასი და ბენიამინისა დარჩა რობოამის ერთგული. და ისიც, იმის ნაცვლად, რომ მამასავით მთელი ისრაელის ხალხზე ემეფა, დარჩა მისი მხოლოდ მცირე ნაწილის მეფედ.

ამგვარად, ისრაელის ხალხი ორ სამეფოდ გაიყო: ორი ტომი, რომელსაც მეფედ ჰყავდა რობოამი, სოლომონის შვილი, იწოდებოდა იუდეის სამეფოდ. ხოლო ათი ტომი, რომელმაც მეფედ იერობოამი აირჩია, იწოდებოდა ისრაელის სამეფოდ.

არ მოიქცა კარგად რობოამი. თავისი ტრაბახის, სისასტიკისა და სიუხეშის გამო მან დაკარგა სამეფოს ძალზე დიდი ნაწილი.

ცუდად მოიქცნენ ებრაელებიც. ისინი ხომ თორმეტი ღვიძლი ძმის შთამომავლები იყვნენ და ერთმანეთს გაეთიშნენ. ახლა ფილისტიმელებიც და სხვა ხალხებიც ხომ უფრო ადვილად მოეროდნენ ებრაელებს და დაჩაგრავდნენ. არ არის კარგი, ბავშვებო, როდესაც ძმები, ან ნათესავები გაიყრებიან როგორც უცხონი, ისე ცხოვრობენ და ერთმანეთს არ ეხმარებიან.

## იუდეველთა სამეფო

ამგვარად, ჩემო მეგობრებო, ერთი ებრაელი ხალხიდან ორი სამეფო გაჩნდა: იუდეისა და ისრაელის.

იმის მოყოლაც არ მინდა, როგორ ცხოვრობდნენ ებრაელები მას შემდეგ, რაც ორ სამეფოდ გაიყვნენ; ცუდად ცხოვრობდნენ, დაივიწყეს ღმერთი და ღვთის მცნებებს აღარ ასრულებდნენ. ლოცულობდნენ კერპებზე და მსხვერპლს სწირავდნენ. იუდეის სამეფოში უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო; იქ ყველა მეფე არ იყო უკეთური და ებრაელებიც ყოველთვის არ ეთაყვანებოდნენ კერპებს. იუდეის სამეფოში ზოგიერთი მეფე (იოდასაფი, იეზიკიელი) ღვთისმოსავი იყო. ხალხი, მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ მაინც დადიოდა იერუსალიმის ტაძარში, ლოცულობდა და მსხვერპლს სწირავდა ჭეშმარიტ ღმერთს. სამაგიეროდ, იუდეის სამეფო დიდხანს იდგა და ნაკლები უბედურებაც ემართებოდა, ვიდრე ისრაელის სამეფოს.

## ისრაელის სამეფო

ისრაელის სამეფოში უარესი მდგომარეობა იყო. მეფეებსა და ხალხს აღარ ახსოვდათ ჭეშმარიტი ღმერთი. იერობოამმა, ისრაელის პირველმა მეფემ, გააკეთა ორი ოქროს ვერძი, რომლის წინაშეც მეფეც და ხალხიც ლოცულობდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, იერობოამს ეშინოდა, რომ მის ქვეშევრდომებს იერუსალიმში არ ევლოთ და სოლომონის შვილს, რობოამს არ დაბრუნებოდნენ.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მძიმდებოდა მდგომარეობა ისრაელის სამეფოში. მეფეებიც და ხალხიც სულ უფრო უკეთურები ხდებოდნენ.

## ისრაელიანების მეფე აქაბი და მისი ცოლი იეზაბელი

მაგრამ ყველაზე უკეთესი ისრაელელ მეფეთა შორის იყვნენ აქაბი და მისი ცოლი იეზაბელი. მათ ღმერთი საერთოდ არ ახსოვდათ და არც ღოცულობდნენ მის წინაშე; ისინი იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ ღვთის მცნებები დაეცვათ, არამედ აკეთებდნენ იმას, რაც მათ მოესურვებოდათ, განურჩევლად, კარგი იყო ეს, თუ ცუდი, ღვთისთვის სათნო იყო, თუ – საძულველი.

მათ შექმნეს მრავალი კერპი, რომელთაც ღამაში ტაძრები აუგეს. აქაბი და იეზაბელი ავიწროვებდნენ, ღვნიდნენ და კლავდნენ იმ ნამდვილ მღვდლებს, რომლებიც ხალხს ღოცვას, ჭეშმარიტი ღმერთის წინაშე მსხვერპლის შეწირვას ასწავლიდნენ, წინასწარმეტყველებს, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ რომ ღმერთს დამორჩილებოდნენ. იეზაბელს თავისი კერპების მსახურებისთვის ჰყავდა მღვდლები, ანუ ქურუმები. მათი რიცხვი ათასამდე აღწევდა.

ჩემო მეგობრებო! თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ ეკლესიაში უნდა იდგეთ უბრალოდ, თავმდაბლად, ღვთის წინაშე გულმოდგინე ღოცვით. წარმართულ სამსხვერპლოში კი რა ხდებოდა: მხიარულ სიმღერებს მღეროდნენ, ცეკვავდნენ, სვამდნენ ღვინოს და ჭამდნენ ათასგვარ საჭმელს, შეგეძლო დაწოლილიყავი და დაგეძინა. ღმერთი ჩვენ მხოლოდ სიკეთის ჩადენას გვთხოვს, ბოროტ საქმეს კი გვიშლის. ხოლო ხის, ქვის თუ ბრინჯაოს კერპი რით უნდა იყოს საშიში, იცხოვრე როგორც გინდა, აკეთე, რაც გაგებარდება. ამიტომაც მოსწონდათ ბოროტ და უწესო ადამიანებს კერპები, ამიტომაც ივიწყებდნენ ისინი ღმერთს.

### წინასწარმეტყველი ელია

ღმერთი არასოდეს გვივიწყებს, რაც უნდა ცუდები და ცოდვილები ვიყოთ. ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ, ვეცოდებით და ყოველთვის მზად არის გვაპატიოს და გვიხსნას, ოღონდაც კი მოვინანიოთ და გამოვსწორდეთ.

რათა გამოვსწორებინა და გადაერჩინა ისრაელელები, ღმერთი მათ წინასწარმეტყველებს უგზავნიდა. ყველას გახსოვთ, ვის უწოდებდნენ წინასწარმეტყველებს?

ღმერთი ამოირჩევდა ღვთისმოსავ, კეთილ ადამიანებს და უგზავნიდა ცოდვილებს. წინასწარმეტყველები ხალხს ეუბნებოდნენ: „თქვენ კარგად არ ცხოვრობთ, თქვენ სცოდავთ, ამისთვის თქვენ ღმერთი დაგსჯით. გონს მოეგეთ, გამოსწორდით, სიკეთე ქმენით და ღმერთი არ დაგივიწყებთ.“ – ისინი ხალხს ღვთის მცნებებს ასწავლიდნენ და იმისთვის, რომ ხალხს დაეჯერებინა, რომ ღვთისგან იყვნენ გამოგზავნილი, სასწაულებს იქმოდნენ.

ასევე გამოეცხადა მეფე აქაბს ელია წინასწარმეტყველი და უთხრა: „თქვენი ცოდვებისათვის ღმერთი თქვენ შიმშილით დაგსჯით; რამდენიმე წელი, სანამ მე არ ვიტყვი, არ გექნებათ არც ცვარი და არც წყალი“. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ ცვრისა და წვიმის გარეშე არც პური გაიზრდება და არც სხვა მოსავალი იქნება. ყველაფერი გახმება. ბოროტ ადამიანებს არ უყვარდათ სიმართლე და აქაბიც გაბრაზდა ელიაზე. ღმერთმა უბრძანა ელიას, რომ გაქცეულიყო, რათა აქაბს არ მოეკლა. და ელიამ თავი შეაფარა ერთ გამოქვაბულს, რომლის სიახლოვესაც ჩამოდიოდა ანკარა, ცივი წყარო. წყალი ბევრი იყო, მაგრამ პური არ ჰქონდა და რა მოიმოქმედა ღმერთმა თავისი წინასწარმეტყველისათვის? ყვავები ყოველდღე, დილას და საღამოს, უზიდავდნენ პურსა და ხორცს. მაგრამ ერთი წლის თავზე წყარო დაშრა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში.  
წიგნიდან: „ბიბლია ბავშვებისთვის“*

**შემდგენელი დეკანოზი  
ალექსანდრე სოკოლოვი  
თარგმნა მარიამ ყიფიანმა**

# მოციქულთა ხანის ისტორია სახარების ქადაგება სამარიაში

სინედრიონს სურდა, გაენადგურებინა რწმენა იმისა, რომ იესო მესიაა. რა თქმა უნდა, ხალხის ცნობიერებიდან სარწმუნოების სავსებით აღმოფხვრა ვერავინ და ვერასდროს შეძლო, მაგრამ იდეათა გავრცელების შეზღუდვისათვის ყოველთვის არსებობდა ზომების ერთი და იგივე მარტივი ნაკრები: ქადაგების აკრძალვა, ახალ მოძღვრებაზე სიცრუის გავრცელება, მისი მომხრეების ცილისწამება, ლიდერთა მკვლელობა და მისთანები. სინედრიონი ახალს ვერაფერს მოიგონებდა. საჭირო იყო კი თავს ედოთ შრომა? იუდეველ უხუცესებს ახალი ერეტიკული მოძღვრების ჩანასახშივე ჩასაკლავად საკმარისად მიანნდათ ჩვეულებრივი მკაცრი ზომების გატარება. სინედრიონის ლიდერებს მხოლოდ ის უკვირდათ, ამ ზომების მიღება მეორედ რომ უხდებოდათ. ისინი დიდად გაოცდებოდნენ, რომ განეჭვრიტათ, რას გამოიწვევდა ქმედითი რწმენა მცირე ჯგუფის პალესტინელთა, რომლებმაც ნაზარეთელ დურგალში ღვთის ძე შეიცნეს. ისრაელის ბრძენებმა გამაღაღის დარიგება დაივიწყეს და ვერც კი შენიშნეს, როგორ გამოუცხადეს ბრძოლა ღმერთს.

რწმენისათვის დევნილმა ქრისტეს ბევრმა მოწაფემ იერუსალიმი დატოვა და სახარების ქადაგებით მთელ პალესტინას მოეფინა. მორწმუნეთა რიცხვი გაიზარდა და სულ მოკლე დროში იუდეისა და გალილეის დასახლებაში მცირე, მაგრამ შეკრული ქრისტიანული თემები გაჩნდა. წმინდა ქალაქიდან გასული ეკლესია გარემომცველი სამყაროს მადლიან გარდაქმნას შეუდგა. მსგავსად ეშმაკისა, რომელმაც ქრისტეს მოსაკლავად იუდეველთა წაქეზებით სრულიად მოულოდნელი შედეგი მიიღო, სინედრიონმაც იერუსალიმში ქრისტიანობის აღმოფხვრის მცდელობით სულ ახლო მომავალში თავისი ძალისხმევის მოულოდნელი ნაყოფი დაინახა არა მარტო აღთქმულ მიწაზე, არამედ მისი საზღვრებიდან მოშორებითაც.

სტეფანეს მკვლელობის შემდეგ უფლის ზოგიერთმა მოწაფემ მაშინვე დატოვა პალესტინა და რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში დასახლდა. მაგალითად, ქრისტეს მიერ მეოთხე დღეს მკვდრეთით აღდგენილი ლაზარე, ქრისტეს მიერ თანდაყოლილი სიბრძნისგან განკურნებული კალედონუსი და მაქსიმინი მასალიაში (ქალაქ მარსელის ძველრომაული სახელი) ჩავიდნენ და ადგილობრივ მცხოვრებლებს ქრისტეზე უქადაგეს. ამის შემდეგ ლაზარე კვიპროსზე გაემგზავრა, ხოლო მისი მეგობრები გალთა გასანათლებლად იქვე დარჩნენ. მაქსიმინი გალეთის პირველ ეპისკოპოსად აკურთხეს. გალეთს რომაელები ეძახდნენ საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის ზოგიერთი რაიონის, გერმანიისა და იტალიის იმ ტერიტორიებს, რომლებიც კელტებით იყვნენ დასახლებული. ამავე დროს მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის ძმა, მოციქული იაკობ ზებედეს ძე, ღვთის სიტყვის ქადაგებით ესპანეთამდე მივიდა. მაგრამ განსაკუთრებული წარმატებით ქრისტეს მახარებლები იერუსალიმის მიმდებარე ოლქებში იღვწოდნენ. სამოცდაათ მოციქულთაგან ერთ-ერთმა, ფილიპე დიაკვანმა, დატოვა რა წმიდა ქალაქი, თავის სამშობლოსკენ – პალესტინის კესარიისკენ აიღო გეზი. მას, როგორც მთავარდიაკვან სტეფანეს თანამოღვაწეს, სინედრიონის მზვერავეები განსაკუთრებული გულმოდგინებით ეძებდნენ. მიუხედავად ამისა, სამარიტელთა მიწებზე გაგლისას მან მშვიდობით მიაღწია მათ დედაქალაქ სამარიას და იქ სახარების ქადაგება დაიწყო.

სამარიის რელიგიური მდგომარეობა იერუსალიმის სულიერი ატმოსფეროსგან განსხვავდებოდა. მისი მოსახლენი, ერთი მხრივ, ნახევრადწარმართნი იყვნენ, მაგრამ მეორეს მხრივ, ფანატიზმით არ გამოირჩეოდნენ. წარმოდგენა ჰქონდათ ჭეშმარიტი რელიგიის საფუძვლებზე და არც მესიის მოლოდინი იყო მათთვის უცხო. ეს ყველაფერი სამარიას თითქოს სახარების მისაღებად განაწყობდა, თუმცა არსებობდა ერთი გარემოება, რომელსაც დიაკვან ფილიპეს მოღვაწეობისთვის ხელის შეშლა შეეძლო.

სამარიაში მაგიაში დიდად განსწავლული და ეშმაკების დახმარებით სასწაულების მოქმედი ვინმე სვიმონი ცხოვრობდა. მოგვად წოდებულმა სვიმონმა სამარიტელებს შორის დიდი სასწაულთმოქმედის პატივი მოიპოვა და ბევრს იგი ქვეყნად მოვლენილი მესია ეგონა. ანტიკურ სამყაროში მაგია ყველგან იყო გავრცელებული, მაგრამ აღმოსავლეთში ჯადოქრები საზოგადოების ყველა ფენაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

რის დაპირისპირება შეეძლო სვიმონ მოგვისთვის ფილიპე მოციქულს ადამიანთა სულებისთვის ბრძოლაში? უპირველეს ყოვლისა, ღვთის სიტყვისა. მისი ქადაგება სამარიტელთა გულებში ისე იზრდებოდა, რომ ისინი დიდ ჯგუფებად გროვდებოდნენ მოციქულის მოსახმენად. დიაკვანი ფილიპე ზებუნებრივის სფეროში სულაც არ აპირებდა

სვიმონთან გაჯიბრებას. თვით უფალი კურნავდა მისი ხელით პარალიზებულებს, ხეიბრებსა და ეშმაკეულებს. შეპყრობილებიდან უწმინდური სულები ველური ყვირილით გამოდიოდნენ, ეს არ გახლდათ მაგების გარეგნულ ეფექტებზე გათვლილი სასწაულები – როდესაც ზემოქმედებენ ადამიანის წარმოსახვებზე, ხოლო რეალურ შედეგს არ იღებენ. ხალხი გრძობდა ამას და ფილიპეს ყოველ ნათქვამს ხარბად ისრუტავდა. მისი უპირატესობა თვით სვიმონმაც აღიარა, რადგან მიხვდა, რომ დიაკვანი უმაღლეს ძალას ფლობდა. როდესაც ბევრი სამარიტელი ფილიპეს ხელით მოინათლა, მოინათლა სვიმონ მოგვიც, რის შემდეგაც იგი ქრისტეს მახარებელს ყველგან თან დაჰყვებოდა და გაოცებით უთვალთვალებდა მის სასწაულებს.

იერუსალიმში დარჩენილმა მოციქულებმა სამარიტელთა ქრისტიანობაზე მოქცევის ცნობა სიხარულით მიიღეს. მაგრამ შეიტყვეს ისიც, რომ ნათელდებულებზე სულიწმიდის გადმოსვლა არ მოხდა იმის გამო, რომ ფილიპე არ ეკუთვნოდა იმ თორმეტ მოციქულს, რომელთაც სულიწმიდის მოწვევის ნიჭი ებოძათ. მოციქულებმა მოითათბირეს, რომ სამარიაში პეტრე და იოანე მოციქულები გაეგზავნათ. იოანე სულთმოფენობის შემდეგ იერუსალიმში, თავის სახლში ცხოვრობდა, რომელიც სიონურ სახლთან ახლოს იდგა. მასთან ერთად ცხოვრობდა ღვთისმშობელიც, რომელსაც იოანეს დედობა თვით უფალმა განუჩინა გოლგოთაზე. მოციქული იოანე დედაღვთისმშობელზე სიყვარულით ზრუნავდა და ცდილობდა, მოუცილებლად მის გვერდით ყოფილიყო. სამარიაში იოანეს მოგზაურობა ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მან ღვთისმშობელი მარიამი ხანგრძლივი დროით მარტო დატოვა იერუსალიმში.

სამარიაში ჩამოსვლისთანავე პეტრე და იოანე მოციქულებმა ახლადნათელდებულები შეკრიბეს, ღოცვის შემდეგ ყოველ მათგანს თავზე ხელი დაასხეს და სულიწმიდა ყოველ მორწმუნეზე გადმოვიდა და მათი სულები მადლმოსილი ნიჭებით აღავსო. სვიმონმა, რომელმაც დაინახა, რომ მოციქულებს ხელდასხმის საშუალებით ადამიანებზე სულიწმიდის მოწვევა შეეძლოთ, თავის რიგს აღარ დაელოდა და მოინდომა თავადაც მოეპოვებინა ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა, რომლის შესახებაც ჯადოქრად ყოფნის პერიოდში არც კი სმენოდა. ჩანს, იგი მიჩვეული იყო მაგიური საიდუმლოებების ფულით ყიდვას და ახლაც გარკვეული საფასური მიუტანა მოციქულებს.

– მეც მომანიჭეთ ეს ხელმწიფება, რათა რომელთაც ხელს დავასხამ, სულიწმიდა მიიღონ, – თქვა მან. (საქმ. მოც. 8-19).

მოციქულები გაოგნდნენ. ღვთიური მადლისადმი მსგავს დამოკიდებულებას პირველად წააწყდნენ. მათ, რომლებმაც მთელი ცხოვრება ქრისტესა და მისი მოძღვრების გავრცელებას უანგაროდ მიუძღვნეს, ვერც კი წარმოედგინათ, რომ ვინმე მათი მსახურების სარფიან საქმედ ან ჯადოქრობის ერთ-ერთ ატრიბუტად გადაქცევას მოინდომებდა. და აკერ ახლა მოციქულთა წინაშე იდგა ადამიანი, ნათლობამიღებული, რომელსაც სრულებით ვერ გაეგო ქრისტიანობის არსი და სულის სიღრმეში ისეთივე მოგვად დარჩენილიყო, როგორიც აქამდე იყო. აღმოჩნდა, რომ მისთვის ქრისტე მაცხოვარი კი არა, არამედ ერთი დიდი ადამიანთაგანია, სულიწმიდის გადმოსვლას კი იგი საიდუმლო მოვლენად თვლის, რომლის მართვაც შეიძლება. სვიმონის ღვთისმგებლობურ თხოვნას პეტრემ სამართლიანი რისხვით უპასუხა:

– ეს შენი ვერცხლი შენთანვე დარჩეს შენს წარსაწყმედელად, რადგან ღვთის ნიჭის მოპოვება ფასით განიზრახე, მასში არც წილი, არც სამკვიდრებელი არ გექნება, რამეთუ შენი გული არ არის წრფელი ღვთის წინაშე. ასე რომ, შეინანე შენი უკეთურება და ევედრე უფალს: იქნებ ეს შენი ურჯულო გულის ზრახვა მოგიტევოს, რამეთუ მწარე ნაღველით აღვსილს და ცოდვით შეკრულს გხედავ. (საქმ. მოც. 8-20-23).

სვიმონს შეეშინდა. მას ეხილა მოციქულთა მრავალი სასწაული, ისინი თავისი ძალით მისთვის ცნობილ ყველა მოგვობას აღემატებოდა. ამიტომ პეტრეს მხილება მან მრისხანე გაფრთხილებად აღიქვა:

– ილოცეთ ჩემთვის უფლის მიმართ, – მორჩილად სთხოვა სვიმონმა მოციქულებს, – რათა არ მეწიოს თქვენს მიერ თქმული (საქმ. მოც. 8-24).

მაგრამ სვიმონის დამდაბლება, როგორც მომავალი აჩვენებს, გარეგნული აღმოჩნდა. მისი გული უფლის წინაშე წრფელი სინანულისგან შორს იყო. პირიქით, სიამაყემ და სატანურმა ხიბლმა სვიმონ მოგვი ქრისტიანობის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მტრად აქცია.

*წიგნიდან: „მოციქულთა საუკუნის ისტორია“*

შემდგენელი დეკანოზი ვიანესლავ ტულუპოვი  
თარგმნა ნანა ზაღალაშვილმა

# ოჯახური ცხოვრების შესახებ

წმ. მოციქულისა და მახარებლის  
იოანე ღვთისმეტყველის სახელობის საგანის იღუმენია  
ფილოთეას საუბარი  
ბერ პაისისტან

## სულიერი ცხოვრება და მუშაობა

**- გერონდა, ადრე ამბობდნენ: „საბნის გაცვეთას ლანჩის გაცვეთა სჯობს“. რას გულისხმობდნენ ამ სიტყვებში?**

- ამით იმის თქმა სურდათ, რომ უმჯობესია, შრომაში ფეხსაცმელი გაცვიოთ, ვიდრე ლოგინში იწვე და უსაქმურობდე. შრომა ღოცვა-კურთხევაა, ღვთიური ნიჭია. იგი აცოცხლებს სხეულს, აფხიზლებს გონებას. ადამიანს ობი მოეკიდებოდა, ღმერთს მისთვის სამუშაო რომ არ მიეცა. შრომისმოყვარე ადამიანი მუშაობას სიბერეშიც აგრძელებს. ასეთი ადამიანისთვის უმუშევრად ყოფნა სიკვდილის ტოლფასია.

უნდა ითქვას, რომ ფიზიკური მოსვენება, რომლისკენაც ზოგიერთები ისწრაფვიან, არ არის სტაბილური მდგომარეობა. ამ მდგომარეობაში ადამიანები მხოლოდ დროებით აყუჩებენ სულიერ განგაშს. მათ ყველაფერი აქვთ: სადილიც, დესერტიც, შხაპიც, მოსვენებაც... მაგრამ უფრო მეტი სურთ. ასე რომ, ასეთ ადამიანებს მუდამ რაღაც აკლიათ და ამიტომაც მუდამ ცუდ ხასიათზე არიან, გრძნობენ სიცარიელეს და მათი სული ითხოვს ამ სიცარიელის შევსებას. მას კი, ვინც შრომით იღლება, მუდმივი სულიერი სიხარული აქვს.

**- გერონდა, თუ ადამიანს, მაგალითად, აწუხებს ხერხემალი და არ შეუძლია მუშაობა?**

- შენ როგორ ფიქრობ, განა ხერხემალს არ სჭირდება გავარჯიშება? აი, მე რას გეტყვი: თუ ადამიანი ჭამს, სვამს, სძინავს და არ მუშაობს, იგი წყობიდან გამოდის, მუდამ ეძინება, რადგან სხეულიც და ნერვებიც დასუსტებული აქვს. ასეთი ადამიანი იქამდე მიდის, რომ აღარაფრის კეთება შეუძლია, ორი ნაბიჯის გადადგმაც კი სუნთქვას უხშირებს, მაგრამ თუ ნელ-ნელა შრომას დაიწყებს, ხელებიც გაუმაგრდება და ფეხებიც; აბა, დააკვირდი, შრომისმოყვარე ადამიანს ბევრი არ სძინავს და მიუხედავად ამისა, მუდამ აქვს ძალა. ასე იმიტომ ხდება, რომ შრომა აწრთობს და აკაჟებს მას.

მუშაობა ეს ჯანმრთელობაა, განსაკუთრებით – ახალგაზრდისათვის. მე შემიწინააღმდეგებ, რომ ზოგიერთი „დედიკოს ბიჭი“ ჯარში კაჟდება და ყალიბდება. ასეთი ბიჭებისთვის ჯარს დიდი სარგებელი მიაქვს. იმისათვის, რომ ჯანმრთელები იყვნენ, მე ვურჩევ მშობლებს გაგზავნონ ისინი ვინმესთან სამუშაოდ. ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ბავშვებს თავიანთი სამუშაო უყვარდეთ, რადგან ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი უმუშევრობისაგან სუსტდება, დონდლო და მოუქნელი ხდება. ხოლო თუ ამავე დროს ხედავს, რომ სხვები წარმატებებს აღწევენ, იგი საკუთარ ეგოიზმში ეფლობა და აღარაფერი ახარებს. შემდეგ მასთან მიდის ეშმაკი და ეჩურჩულებს: „უბედურო, რა უნიჭო ხარ! ერთი შენი თანატოლი მასწავლებელი გახდა, მეორემ საქმე წამოიწყო და ფულს შოულობს, შენ კი რა შეგიძლია?“ ამ გზით ეშმაკი ამ ადამიანს სასოწარკვეთაში აგდებს, მაგრამ თუ ყმაწვილი დაიწყებს მუშაობას, გაუჩნდება საკუთარი თავის იმედი, – ამ სიტყვის კარგი გაგებით, ის ნახავს, რომ მასაც შესძლება სიმწველების დაძლევა, იგი შრომით იქნება დაკავებული და ზრახვებისათვის დრო არ დარჩება. ანუ სარგებელი ორმაგი იქნება.

## პროფესიის შერჩევა

**- გერონდა, ზოგიერთ მშობელს სურს, შვილმა იგივე პროფესია აირჩიოს, რაც მას თვითონ აქვს და ხშირად ამას დაჟინებით მოითხოვს.**

- არა, ეს არასწორი საქციელია. არ შეიძლება შვილი აიძულო, აკეთოს ის საქმე, რომელიც მშობელს მოსწონს, თუ თავად შვილს ამ საქმისკენ გული არ მიუწევს. მე ვიცნობდი ერთ ყმაწვილს, რომელსაც საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლა და მღვდლობა უნდოდა, მაგრამ დედამისი წინააღმდეგი იყო, ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ შვილს სამედიცინო ფაკულტეტზე ესწავლა. ყმაწვილმა შეისწავლა ბიზანტიური გალობა და

ტაძარში გალობდა. ზეპირად იცოდა მრავალი საეკლესიო საგალობელი, წერდა ტროპარებს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე გააგრძელა. დედამისი კი ამას ისე განიცდიდა, რომ ნერვიულობისგან ავად გახდა. მერე ის ჩემთან მოვიდა და მთხოვა: „მამაო, ილოცე ჩემთვის, რომ გამოვიჯანმრთელდე და მერე ჩემმა შვილმა აკეთოს, რაც უნდა“. მაგრამ გამოვიჯანმრთელებისთანავე იგი კვლავ წინ აღუდგა შვილის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლას. საბოლოოდ მისმა შვილმა მიატოვა ღვთისმეტყველება, გალობაც და სულ ტყუილად დაიღუპა თავი.

როდესაც ვხედავ, რომ ახალგაზრდას პროფესიის არჩევა უჭირს, ვეუბნები: „დააკვირდი, რომელი პროფესია ან მეცნიერება მოგწონს, უნდა აკეთო ის, რისკენაც გაქვს ბუნებრივი მიდრეკილება“. მე ყოველთვის ვურჩევ ახალგაზრდებს, ის საქმე აკეთონ, რომლისკენაც გული მიუწევთ, მაშინ ეს მათ სარგებელს მოუტანს. ანუ მე მათ ვეხმარები მათი ძალების შესაფერისი საყვარელი საქმის შერჩევაში. მთავარია, რომ ეს საქმე ღვთისთვის სათნო იყოს. ვიდაცას მუსიკისადმი აქვს მიდრეკილება? გახდეს კარგი მუსიკოსი, ან საეკლესიო მგალობელი და თავისი გალობით მსმენელებს ღოცვა და ეკლესია შეაყვაროს. ვიდაცას მხატვრობის ნიჭი აქვს? გახდეს მხატვარი ან ხატმწერი და ღვთის სიყვარულითა და მოწიწებით წეროს ხატები, რომლებიც შემდეგ სასწაულებს ადასრულებენ. ვიდაცას მეცნიერება იტაცებს? მიუძღვნას თავი ამ საქმეს და კეთილსინდისიერად იმუშაოს.

## საქმის სიყვარული

– **გერონდა, რატომ ხდება ასე, რომ მუშაობისას ზოგიერთ ადამიანს სწყინდება.**

– შეიძლება არ უყვარს თავისი საქმე, ან შეიძლება მუშაობისას მუდამ ერთი და იმავე საქმის კეთება უწევს.

დღეს ბევრი გაწამებულია იმით, რომ არ უყვარს თავისი საქმე. ისინი წამდაუწუმ საათს დაჰყურებენ და მოუთმენლად ელოდებიან სახლში წასვლის დროს. მაგრამ თუ ადამიანს უყვარს თავისი საქმე, თუ მისთვის არ არის სულერთი რასაც აკეთებს, მაშინ რაც მეტს მუშაობს, მით მეტად ენთუზია და მთელი გულით შრომობს. ხოლო როცა წასვლის დრო დგება, გაკვირვებული კითხულობს: „როგორ, უკვე ამდენი დრო გავიდა?“ მას ავიწყდება ჭამაც, ძილიც, მოსვენებაც. მუშაობა ასეთი კაცისათვის ზემოა.

– **გერონდა, დაეუშვათ, ორი ადამიანი ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს. ერთი იღებს სულიერ სარგებელს, მეორე კი – სულიერ ზიანს, რატომ ხდება ასე?**

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ასრულებენ ამ სამუშაოს და რა აქვთ გულში. თუ ადამიანი თავმდაბლობით და სიყვარულით მუშაობს, მაშინ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, იქნება სუფთა და დალოცვილი, თვითონ კი შეიგრძნობს შინაგანი ძალების განახლებას. ხოლო ის, ვინც ამაყი ზრახვებით მიუდგება საქმეს და იფიქრებს, რომ სხვაზე უკეთ მუშაობს, შეიძლება გრძნობდეს რაღაც კმაყოფილებას, მაგრამ ეს არ მოუტანს მის სულს არც სარგებელს, არც სიმშვიდეს. გარდა ამისა, ადამიანი იღლება, თუ საქმეს უსიყვარულოდ აკეთებს. მაგალითად, თუ ადამიანს არ უყვარს საქმე და მის დასასრულებლად მთაზე ასვლა სჭირდება, მთის დანახვაც კი ძალას ართმევს. მაშინ როცა, მეორე ადამიანი, თუ ამ საქმეს გულით აკეთებს, მთაზე ისე აფრინდება, ვერც კი შეამჩნევს.

– **გერონდა, შეიძლება საქმემ ისე გაიტაცოს ადამიანი, რომ გულგრილი გახდეს ოჯახისადმი და სხვა მოვალეობებისადმი?**

– ადამიანს საქმე უბრალოდ უნდა უყვარდეს, არ არის საჭირო მასზე შეყვარებული იყოს. აი, როდესაც ადამიანს არ უყვარს თავისი სამუშაო, იგი ორმაგად იღლება – ხორციელადაც და სულიერადაც. ხოლო, სულიერად დაღლილი სხეულის დასვენებით სულიერ ძალებს ვერ აღიდგენს. სულიერი დაღლა – აი, რა ფიტავს ადამიანს. თუ ადამიანი გულით მუშაობს, სულიერად არ იღლება და ფიზიკური დაღლილობაც ქრება.

კმაყოფილება, რომელსაც ადამიანი გრძნობს თავისი საქმის კეთილსინდისიერად შესრულების გამო, კეთილი კმაყოფილებაა. ეს კმაყოფილება ღმერთმა მოგვცა, რათა არ გვეღლებოდეს გონება, ეს არის დაღლილობის გზით ძალების აღდგენა.

## ყოველმა ადამიანმა უნდა გამოიყენოს ის ნიჭი, რომელიც მას მიეცა

ყოველმა ადამიანმა სიკეთეში უნდა მოიხმაროს თავისი ნიჭი. რადგან ღმერთი, როდესაც აჯილდოებს ადამიანს რაიმე ნიჭით, კიდევაც მოჰკითხავს მას. მაგალითად, ადამიანის გონება – ეს არის ღვთისგან ბოძებული ძალა, მაგრამ ზოგიერთი ამ ძალას სიკეთისთვის იყენებს, ზოგი კი – ბოროტებისათვის. თუ ჭკვიანი ადამიანი თავის შესაძლებლობებს სწორად გამოიყენებს, მას შეუძლია ისეთი რამ გამოიგონოს, რაც ადამიანებს დაეხმარება. მაგრამ თავისი შესაძლებლობების არასწორად გამოყენებისას მას შეუძლია გამოიგონოს, მაგალითად, გაძარცვის ხერხები.

ანუ ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ან სარგებელი მოაქვს სხვებისთვის, ან პირიქით – ანადგურებს მათ. ის კი, ვინც უფალს დიდი ნიჭით არ დაუჯილდოვებია, რა თქმა უნდა, დიდ სიკეთეს ვერ გააკეთებს, მაგრამ ვერც დიდი ბოროტების ჩადენას შეძლებს.

### სამსახური და სულიერი მღელვარება

– *გერნოდა, ზოგიერთი ადამიანი სამსახურიდან შინ ნერვებაშლილი ბრუნდება.*

– მამაკაცებს მე ვურჩევ, სამსახურიდან ტაძარში შეიარონ, სანთელი დაანთონ, 10-15 წუთი ილოცონ, ან დასხდნენ სადმე სკვერში, წაიკითხონ სახარებიდან ნაწყვეტი იმისთვის, რომ დამშვიდდნენ. ამის შემდეგ კი, დამშვიდებულები და გაღიმებულები, შინ წავიდნენ. არ არის საჭირო სამსახურის პრობლემების სახელში მიტანა, ეს პრობლემები თქვენი სახლის ზღურბლთან უნდა დატოვოთ.

– *გერონდა, ზოგი თავის გაღიზიანებასა და ნერვიულობას იმით ხსნის, რომ მეტად საპასუხისმგებლო სამსახური აქვს და ეს მის სულიერ მღელვარებას იწვევს.*

– სულიერ მღელვარებას ის იწვევს, რომ ავიწყდებათ, თავიანთ საქმეში ღმერთი გაიხადონ დამხმარედ. ჩემი აზრით, ასეთ ადამიანს ურჩევნია პატარა თანამდებობაზე იმუშაოს და მშვიდად იყოს, ვიდრე დიდი საწარმოს მენეჯერზე შეიქმნას და გამუდმებით იმეორებდეს: „რაღა ვქნა, როგორ მოვიქცე?“ ხშირად ასეთ ადამიანებს დიდი ვალები ედებათ და კოტრდებიან.

### შრომის კურთხევა

ადამიანი თავისი ღოცვითა და ქრისტიანული ცხოვრებით თავის შრომას უნდა აკურთხებდეს და თვითონაც იკურთხებოდეს. ხოლო თუ სამსახურში მას სხვები ექვემდებარებიან, იგი მათზეც პასუხისმგებელია – სულიერად უნდა ეხმარებოდეს მათ. აი, მაგალითად, თუ ახალგაზრდები ოსტატთან მიდიან ხელობის შესასწავლად, იგი ვალდებულია, მათ სულიერი ცხოვრებაც ასწავლოს. ასეთი ურთიერთობა ეხმარება უფროსსაც, მის დაქვემდებარებულებსაც და კლიენტებსაც, რადგან ღმერთი დალოცავს მის სამუშაოს.

ნებისმიერი პროფესია (თუ ის არ არის ქრისტიანობასთან შეუთავსებელი) შეიძლება იკურთხოს. მაგალითად, ექიმს უნდა ახსოვდეს, რომ მედიცინაში მთავარი დამხმარე ღვთის მადლია. ამიტომ იგი უნდა ცდილობდეს, გახდეს ღვთის მადლის ჭურჭელი. ექიმი, თუ იგი კეთილი ქრისტიანი და კარგი სპეციალისტია, თავისი სიკეთითა და რწმენით ეხმარება ავადმყოფებს, ასწავლის მათ, ავადმყოფობას რწმენითა და ვაჟკაცობით მიუდგენ. მძიმე ავადმყოფობის დროს ასეთ ექიმს შეუძლია, უთხრას ავადმყოფს: „იქ, სადაც არ არის საკმარისი ადამიანური ცოდნა, არის უფალი, რომელიც სასწავლებს ახდენს“.

მასწავლებელი კი სიხარულით უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას და ეხმარებოდეს ბავშვებს სულიერ აღორძინებაში, რადგან ეს ყველა მშობელს არ ძალუძს. ცოდნის მიცემასთან ერთად მასწავლებელი უნდა ცდილობდეს მოსწავლეები ნამდვილ ადამიანებად აღზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა ფასი აქვს მათ ცოდნას?! საზოგადოებას სჭირდება წესიერი ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს კეთილსინდისიერად შეასრულებენ. მასწავლებელი ყურადღებას უნდა აქცევდეს არა მარტო იმას, როგორ ამზადებს მოსწავლე გაკვეთილს, არამედ გაითვალისწინოს ბავშვის სხვა სათნოებანიც ან ხასიათის ისეთი დადებითი მხარეები, როგორცაა ღვთისმოსაობა,

სიკეთე, კეთილზნეობა. ნიშნები, რომლებსაც მასწავლებელი უწერს მოწაფეებს, ზოგჯერ არ ემთხვევა იმ ნიშნებს, რომლებსაც მათ ღმერთი უწერს. ვიდაცის ორიანი ღმერთისთვის შეიძლება ხუთიანი იყოს პლუსით, ხოლო ვიდაცის ხუთიანი – ორიანი.

## პროფესიას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა

– გერონდა, თუ ადამიანს არ სიამოვნებს მუშაობა, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

– თუ ადამიანს თავისი შრომისადმი სწორი განწყობა აქვს, მაშინ ის საქმე მისთვის დღესასწაული იქნება.

– გერონდა, თუ ადამიანს გული სწყდება იმის გამო, რომ მძიმე ან ბინძური სამუშაო აქვს?

– ეს ადამიანი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ქრისტემ თავის მოწაფეებს ფეხები დაბანა; მაშინ მას აღარ დასწყდება გული თავისი სამუშაოს გამო. უფალმა ეს გააკეთა, რათა ამით ეთქვა: „თქვენც ასე უნდა მოიქცეთ“. ადამიანი ყოველგვარ საქმეს სიხარულით უნდა აკეთებდეს. პროფესიას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მე ვიცნობდი ერთ გემის მტვირთავს, რომელმაც მკვდარი აღადგინა. როდესაც მე ივერიონის მონასტერში ვმოღვაწეობდი, ჩემთან მოვიდა ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი. იგი გვიან ღამით მოვიდა, არ ისურვა ბერების შეწუხება, ამიტომაც არ დაგვიკაკუნა და გარეთ დაწვა დასაძინებლად. ბერებმა იგი შეამჩნიეს და შიგნით შემოიყვანეს. მე ვკითხე: „რატომ არ დაგვიკაკუნე? ჩვენ კარს გაგიღებდით და სასტუმრო ოთახში მოგათავსებდით“. „რას ამბობ, მამაო, როგორ გავბედავ ბერების შეწუხებას?“ – მიპასუხა მან. მე მის სახეზე ნათელი შევნიშნე და მივხვდი, რომ ეს კაცი სულიერად ცხოვრობდა. შემდეგ ამ კაცმა მიაჩნო, რომ მამით ადრე დაობლებულა, როდესაც გაიზარდა და დაქორწინდა, სიმამრი მთელი გულით შეიყვარა, მაგრამ ძალიან განიცდიდა, რომ იგი ხშირად ბილწიციყობდა. ბევრჯერ სთხოვა, შეეკავებინა თავი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ერთხელაც სიმამრი ცუდად შეიქნა და საავადმყოფოში წაიყვანეს. რამდენიმე დღეში იგი გარდაიცვალა. როდესაც სიმამრი კვდებოდა, სიძე იქ არ იყო, პორტში გემს ტვირთავდა. საავადმყოფოში დაბრუნებულს კი სიმამარი უკვე მორგში გადასვენებული დახვდა. იგი წავიდა მორგში და დიდი გულისტკივილით დაიწყო ლოცვა: „უფალო, გვეუდრები, აღადგინე, რათა მოინანიოს და შემდეგ კვლავ წაიყვანე“. მაშინვე მიცვალებულმა თვალები გაახილა და ხელები აამოძრავა. მტვირთავმა სიმამრი შინ წაიყვანა და იგი სრულიად გამოჯანმრთელდა. ამის შემდეგაც მან სინანულში კიდევ ხუთი წელი იცოცხლა. „მამაო, – მიყვებოდა მტვირთავი, – უფლის მადლობელი ვარ ამ წყალობისათვის. რას წარმოვადგენ მე, რომ უფალმა ჩემზე ასეთი წყალობა მოიღოს?“ ეს ადამიანი იმდენად თავმდაბალი იყო, მას აზრაც არ მოსდიოდა, რომ მკვდარი აღადგინა. ის უადრესად მადლიერი იყო უფლისა.

ბევრი ადამიანი იტანჯება იმის გამო, რომ ვერ მოიხვეჭა ამქვეყნიური ამაო დიდება და ამაო სიმდიდრე. ისინი არ დაფიქრებულან იმაზე, რომ იმქვეყნიურ ანუ ნამდვილ ცხოვრებაში ამ დიდებასა და სიმდიდრეს არავითარი სარგებელი არ ექნება. მითუმეტეს, რომ მათი გადატანა იმქვეყნიურ, ნამდვილ ცხოვრებაში შეუძლებელია. იქ ჩვენ წავიდებით მხოლოდ იმ ჩვენს საქმეებს, რომელთა საშუალებით, აქ, მიწაზე, ვიღებთ შესაბამის „საზღვარგარეთის პასპორტს“ მომავალი დიდი და მარადიული მოგზაურობისათვის.

ბერი პაიხი  
წიგნიდან „ოჯახური ცხოვრება“

თარგმნა ნინო ახალაძემ

# მიწა მიულწეველი

ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში წამებულთ

## პროლოგი

ვისურვებდი, თხრობა დამეწყო ისე, როგორც ძველი ჟამთააღმწერლები იწყებდნენ: „ამა და ამ წელიწადსა უფლისასა...“ მაგრამ არ შემიძლია, ვინაიდან ჟამს, როდესაც მოხდა ის, რაზეც უნდა გიამბოთ, ვერაფრით უწოდებ უფლის წელიწადს, გარდა იმისა, რომ უფალი ღმერთი, როგორც ყოველთვის, ნებას აძლევდა მზეს მოეფინა ნათელი კეთილთა და ბოროტთა ზედა, წვიმას კი – დაერწყულებინა მართალნი და უკეთურნი. სხვა სიტყვებით – ეს იყო ადამიანის, და არა უფლის წელიწადი, ვინაიდან უფლის დაშვებით ცოდვილი ადამიანები ადასრულებდნენ საკუთარ, და არა ღვთის ნებას. ამოდ კითხულობდა მილიონობით ქრისტიანი დილა-საღამოს *მამაო ჩვენოს* და მიმართავდა უფალს: „*იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა* (ანგელოზთა შორის), *ეგრეცა ქვეყანასა ზედა* (ადამიანთა შორის).“ აღესრულებოდა მხოლოდ ადამიანის ნება, ხორციელდებოდა მხოლოდ ადამიანთა საქმენი, სისრულეში მოჰყავდათ მხოლოდ ადამიანთა გეგმები, განიდიდებოდნენ მხოლოდ ადამიანები, რომლებიც სპობდნენ, კლავდნენ, ანგრევდნენ, ძარცვავდნენ, სძულდათ; და ეს ყველაფერი – ადამიანთა ბედნიერებისათვის, ღვთის გარეშე და ღვთის ნების საწინააღმდეგოდ.

ამიტომ სირცხვილია დავიწყოთ ისე, როგორც ძველი ჟამთააღმწერლები იწყებდნენ: „წელიწადსა უფლისასა...“, რათა მართალ უფალს არ დავაკისროთ პასუხისმგებლობა იმ ჟამს ადამიანთა ხელით აღსრულებული ყველა უსამართლობისათვის. უკეთესი იქნება დავიწყოთ ასე:

1944 ადამიანურ წელიწადს, ივლისში, გერმანელი გენერლები, რომელთა შორის რამდენიმე ცნობილი მხედართმთავარი იყო, თავს დაესხნენ გერმანელი ხალხის ბელადს ადოლფ ჰიტლერს. ამ მოვლენის შესახებ გადმოცემულ პირველ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ჰიტლერი მოკლულია, რამაც უდიდესი სიხარული გამოიწვია მთელ მსოფლიოში, გარდა ქვეყნების ღერძისა: ბერლინი-რომი-ტოკიო. ამ ამბავმა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებამდეც მიაღწია, სადაც მონობაში მსოფლიოს ყველა ერის წარმომადგენელი მილიონობით ტუსადი იტანჯებოდა. მათ მალე განთავისუფლების და შინ დაბრუნების იმედი გაუჩნდათ. ჰიტლერი გერმანელებში განზრახ აღვივებდა ქედმაღლურ სიძულვილს ყველა ხალხისადმი, რითაც, ბუნებრივია, გერმანელთა მიმართ ამ ხალხების საპასუხო სიძულვილი გამოიწვია.

ცნობამ ჰიტლერის სიკვდილის შესახებ იმ საკონცენტრაციო ბანაკამდეც მიაღწია, რომელსაც სერბულ თარგმანში *ნადვის ტყე* ერქვა. ბარაკებში გამომწვევლ ტუსადთა სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ მისი დაფარვა არ მოხერხდა და იგი №99 ბარაკის პატიმართა მქუხარე ზეიმში გამოიხატა.

მაგრამ ჰიტლერი ცოცხალი დარჩა და გავრცელებული ხმები უარყოფილ იქნა. მალე მოვიდა მითითება *დაეხვრიტათ* ყველა, ვინც თუნდაც რამენაირად გამოხატა სიხარული ფიურერის სიცოცხლის ვითომდა წარმატებული ხელყოფის გამო. ყველა საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს ებრძანა, როგორც „მეამბოხე“, გაენადგურებინათ ყველა, ვინც რეიხის ყოვლისშემძლე ბელადის მკვლელობას სიხარულით შეხვდა. და ეს ბრძანება შესრულებულ იქნა, ანუ ყველა ბანაკში განხორციელდა სისხლიანი „წმენდა“. რამდენიმე დღის მანძილზე ნაშუაღამევს ღამის სიჩუმეს არღვევდა ტყვიამფრქვევების გამოსამშვიდობებელი ჯერი, რომლითაც ადამიანები ადასრულებდნენ თავიანთ საზარელ, და არა უფლის კეთილ ნებას.

№99 ბარაკში ძირითადად სერბები იყვნენ. მათთან ერთად დროებით იმყოფებოდა რამდენიმე ამერიკელი, ინდოელი, ზანგი, რუსი, ნორვეგიელი და პოლონელი. ბარაკში უფროსი სერბი იყო, რეზერვის კაპიტანი სპას სპასოვიჩი, ომამდე რომელიღაც გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი.

ბანაკის უფროსი კი დოქტორი იოჰან ადლერი იყო, რეზერვის პოლკოვნიკი და უნივერსიტეტის ისტორიის მასწავლებელი. დოქტორი ადლერი ძალზე აფასებდა სპას სპასოვიჩს მისი ცოდნის, უფრო მეტად კი – გამორჩეული პატიოსნებისა და თავმდაბლობის გამო.

მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და ბანაკის კომენდანტს ბევრი „მეამბოხის“, უწინარესად კი №99 ბარაკის ტუსადების ლიკვიდაცია უბრძანეს.

დოქტორი ადღერი ლუთერანი იყო და პურიტანულად აფასებდა ჭეშმარიტებასა და პატიოსნებას ყველა სხვა სქოლასტიკურ ნახევრადჭეშმარიტებასა და ეთიკურ ადვოკატურაზე მეტად. იგი იცნობდა სპასს, როგორც ნამდვილ და პატიოსან ადამიანს და სურდა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, გადაერჩინა იგი და არ დაეშვა, რომ ამ მართალი ადამიანის სისხლი მასზე და მის შვილებზე დარჩენილიყო.

თუმცა ადღერი იმავდროულად ურყევი ნაციონალ-სოციალისტი და ჰიტლერის ერთგული მომხრე იყო, როდესაც საქმე შინაგან სოციალურ რეფორმებს ეხებოდა. მას ტანჯავდა კითხვა: როგორ გადაარჩინოს სპასი – ყველაზე მემბოხე ბარაკის უფროსი?

უძილო ღამის შემდეგ კომენდანტმა თხოვნით მიმართა შესაბამის ორგანოებს, მიეცათ მისთვის შვიდი დღის ვადა გამოძიების საწარმოებლად. მას ნება დართეს, თუმცა დივიზიაში იყვნენ შურიანები, რომლებსაც არ უყვარდათ ადღერი მისდამი ჰიტლერის სიმპათიის გამო. ამიტომ მასთან ერთი მკაცრი გესტაპოელი, ობერშტურმანფიურერი მიაგლინეს, რათა გაეკონტროლებინათ, როგორ გაასამართლებდა იგი „მემბოხეებს“, რათა შემდგომ მსჯავრი დაედოთ მისთვის ღმობიერებისა და შემწყნარებლობისათვის.

და აი, დაიწყო №99 ბარაკის ტუსადთა ამბოხის სასამართლო გამოძიება. პირველ რიგში სასამართლოს წინაშე ბარაკის უფროსი კაპიტანი სპას სპასოვიჩი წარდგა.

## სასამართლოს პირველი ღამე, კვირა

დოქტორმა ადღერმა მოიწვია ბანაკის სამხედრო სასამართლო, რომელსაც საიდუმლო სახელმწიფო პოლიციის წარმომადგენელი დაასწრო და გახსნა სასამართლოს სხდომა №99 ბარაკის უფროსის საქმეზე.

- რა გქვია?
- სპას სპასოვიჩი.
- რას ნიშნავს ეს სახელი?
- ეს ნიშნავს *იესო იესოს ძეს*.
- ეს ებრაული სახელი არ არის?
- ოდესღაც ებრაული იყო, ახლა ქრისტიანულია.
- რა ეროვნებისა და რწმენისა ხარ?
- სერბი ვარ, მართლმადიდებელი აღმსარებლობისა.
- საუნივერსიტეტო განათლება გაქვს?
- დიახ.
- მეცნიერების რომელი სფეროს სპეციალისტი ხარ?
- ღვთისმეტყველი და ისტორიკოსი.
- რატომ ორის და არა ერთის?
- მე მიმაჩნია, რომ ეს ორი მეცნიერება განუყოფელია და ერთს მეორის გარეშე აზრი არა აქვს.

- რომელი პოლიტიკური პარტიის წევრი ხარ?
- არცერთის.
- რატომ?
- იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ: ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ხალხს იმაზე მეტს ჰპირდება, ვიდრე შეუძლია მისცეს, და ამიტომ ის *მიულწვევლი მიწისაკენ* მიჰყავს.

- ეს რა ქვეყანაა?
- *მიულწვევლი მიწა* ერთგვარი მიწიერი სამოთხეა რჩეული ხალხისთვის, ბედნიერების მოჩვენებითი ქვეყანა, რომელსაც პოლიტიკური ბელადები მუდამ ჰპირდებიან ხალხს, მაგრამ სანამ არ მოკვდებიან, ვერ იხილავენ მას.

- ასევე ფიქრობ მთელი ევროპის პოლიტიკურ პარტიებსა და თეორიებზე?
- დიახ, მთელ ევროპაში დღეს ყველა პარტია ასეთია.
- კომუნისტებზეც?
- რასაკვირველია.
- ნაციონალ-სოციალიზმზეც?
- დიახ.

- ერთხელ კიდევ: შენ მიგაჩნია, რომ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიასგერმანელი ხალხი მიჰყავს *მიწა მიულწვევლისაკენ*, საიდანაც უკან ვეღარ დაბრუნდები?

– სწორედ ასეა.  
– იქნებ გერმანელების სიძულვილი გალაპარაკებს?  
– მე რომ გერმანელები ჩემი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის განგსაჯო, ჩემი სიძულვილი გამართლებული იქნებოდა. თუმცა მე სხვა გერმანელებსაც ვიცნობ, ამიტომ მთლიანად გერმანელი ხალხისადმი სიძულვილი არა მაქვს.

ამის გაგონებაზე გესტაპოელმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და წამოიძახა:

– ბატონო თავმჯდომარე, დახვრიტეთ დაუყოვნებლივ, დროს ნულარ კარგავთ!

დოქტორი ადღერი მას ხელზე შეეხო და მშვიდად უთხრა:

– მოითმინეთ, ჩვენს განკარგულებაში მთელი შვიდი დღეა. მან, როგორც ბარაკის უფროსმა, სხვებზე მეტად უნდა აგოს პასუხი. ამიტომ მასზე სხვებზე მეტხანს უნდა შევჩერდეთ.

შემდეგ ის ტუსადს მიუბრუნდა და საკმაოდ მკვახედ უთხრა: გაფრთხილდი, სპასოვიჩ, დაფიქრდი, რას ლაპარაკობ. შენი თავი ბეწვზე კიდი.

– არა, ბატონო პოლკოვნიკო, მე ვხედავ, რომ ჩემი თავი ბეწვზე კი არ კიდა, არამედ ხელში მიჭირავს, მოჭრილი, როგორც წმიდა იოანეს ხატზე.

ჯვარედინი დაკითხვა გაგრძელდა.

პირველი მოსამართლე: სერბეთისათვის ომი 1941 წელს დამთავრდა. რატომ მაშინვე არ დანებდი. როგორც მეამბოხე, მთებში რად წახვედი?

სპასი: ომი დღესაც არ დამთავრებულა. მე კი რეგულარულ არმიაშიც, როგორც ოფიცერი, და მთებშიც, როგორც „მეამბოხე“, როგორც თქვენ მიწოდებთ, ერთი და იგივე ვიყავი – სერბი ჯარისკაცი გერმანელ ჯარისკაცთა წინააღმდეგ.

პირველი მოსამართლე: ვინ გაიძულა მთებში წასვლა?

სპასი: გერმანელებმა.

გესტაპოელი: ეს როგორ?

სპასი: აი, როგორ: ორმოცდაერთში მე ვნახე, როგორ დახვრიტეს გერმანელებმა სამი ათასი უდანაშაულო სერბი 30 გერმანელის წილ, რომლებიც გენერალ დრაჟე მიხაილოვიჩის პატრიოტებმა დახოცეს კრაგუევაც-მთიანი მილანოვაცის გზაზე შეტაკების დროს. მე შემადრწუნა ამგვარმა არაადამიანურობამ და მთებში წავედი, რათა მეცხოვრა მხეცებთან ერთად, დამეცვა ჩემი ხალხი და მოემკვდარიყავი პატიოსანი ჯვრისათვის პატიოსან ბრძოლაში. მე მოვიქეცი ჩემი ჯვრისმტვირთველი წინაპრებისდაგვარად, რომელთაგან ერთ-ერთმა თავადის ქალ მილიცას უთხრა: „ჩვენ მივდივართ ძმებთან ერთად კოსოვოს ველზე, რათა მოვკვდეთ პატიოსანი ჯვრისათვის“.

მეორე მოსამართლე: განა ჩვენი ბელადი არ წავიდა ჯვაროსნული ლაშქრობით რუსეთზე უღვთოთა წინააღმდეგ?

სპასი: დიას, წავიდა, მაგრამ პატიოსანი ჯვრის სახელით კი არა, არამედ – სვასტიკით, გადატეხილი არაქრისტიანული ჯვრით. ამიტომაც ევროპაში არავინ გამოხმაურებია მის მოწოდებას ეგრეთ წოდებულ „ჯვაროსნულ ლაშქრობაში“ წასასვლელად.

– ტყუილია! – დაიყვირა გესტაპოელმა და მთელი ძალით დაჰკრა მუშტი მაგიდას. – სიცრუეა, რომ არავინ გამოხმაურებია. ბევრი გამოგვეხმაურა.

სპასი: არავინ გამოგხმაურებიათ სინდისის კარნახით და თავისი ნებით; შემოგიერთდნენ ან შიმის გამო, ან მატერიალური გამორჩენის იმედით. ამიტომ ის, ვინც გამოგვეხმაურათ, ზედმეტი ტვირთი უფრო იყო გერმანული არმიისათვის, ვიდრე დამხმარე. განა ასე არ არის?

– მართალია! – გაბედა და წამოიძახა ერთ-ერთმა დაბალჩინოსანმა.

გესტაპოელმა მას მომაკვდინებელი მზერა ესროლა და მანაც შიშით თავი ჩაქინდრა და ენა გადაყლაპა.

დაისვა ბევრი სხვა კითხვა, რის შემდეგაც გამოცხადდა გამომძიებელი, რომელსაც №99 ბარაკი გაეჩხრიკა და ქალაქის ფურცლების შეკვრა წარმოადგინა.

– ეს ხელნაწერი, ბატონებო, კაპიტან სპასოვიჩის თივის საწოლში ვიპოვე. წარმოგიდგენთ საყოველთაო განხილვისათვის. დაწერილია სერბული კირილიცით, მაგრამ ისე გაურკვეველად და შემოკლებით, რომ ვერცერთმა ჩვენმა მთარგმნელმა ვერ წაიკითხა. თითქოს დაშიფრულია.

თავმჯდომარე: ეს შენი დღიურია, სპასოვიჩ?

სპასი: არა, დღიური არ არის, ბატონო პოლკოვნიკო; ისე, ზოგიერთი ჩემი აზრი და ზოგადი ხასიათის დაკვირვებაა.

თავმჯდომარე: შენ ეს სუფთად უნდა გადაწერო, რომ გავიგოთ, რა არის ეს. ორ დღეს გაძღვე, გაიგე?

სპასი: გავიგე.

შემდეგ სპასი ცალკე საკანში გადაიყვანეს; ხოლო როდესაც მის უკან კარი მიიხურა, გესტაპოელმა იყვირა:

– ამ ღამესვე დახვრიტეთ!

– მისი დახვრეტა ძნელი არ არის, – უპასუხა პოლკოვნიკმა ადლერმა, – იგი ჩვენს ხელთ არის. განაჩენს მასაც და ყველა სხვა დანარჩენსაც მომავალ შაბათს გამოვუტანთ.

თუმცა დოქტორ ადლერის დაუკითხავად იმ ღამეს №99 ბარაკის 25 ტუსადი დახვრიტეს.